პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი,
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკასიის გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

პარასკევი 17 ოქტომბერი. 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 238 (1093)

დღიური

— შვედეთის მთავრობის თავმჯდომარედ მეფემ დანიშნა მენშევიკი ბრანტინგი.

— ჩინეთში მდგომარეობა გამოურკვეველია; ორივე მხარე ემზადება დიდი ბრძოლისათვის.

— ამერიკაში დაარსდა კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსიურ დახმარების გაწევას ევროპის მრეწველობისათვის.

— გერმანიის რეიხსტაგის კომფრაქცია მთავრობისაგან მოითხოვს საბჭოთა ფედერაციასთან კავშირის შეკვრას.

— აჯანყებულ მაროკოელებმა კვლავ გაიმარჯვეს [illegible]

— ევროპის ყველა გაზეთები მთელ რიგ წერილებს უძღვნიან ანატოლ ფრანსს.

სრულიად საქარ. პროფკავშირთა საბჭოს ყრილობა
დანიშნულია 20 ოქტომბრისათვის

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის ერთი წლის მუშაობის შესახებ.
2) საქ. შრომის სახ. კომისარიატის მოხსენება ახლო ამოცანების შესახებ.
3) მოხსენება საქ. სახ. მეურნეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.
4) მოხსენება სამუშაო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების შესახებ.
5) მოხსენება საორგანიზაციო საკითხების შესახებ.
6) მოხსენება შრომის პირობებისა და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.
7) მოხსენება კავშირების კულტ-მუშაობის შესახებ.
8) არჩევნები.

ყრილობაზე არჩეული დელეგატები უნდა ჩამოვიდნენ ტფილისში არა უგვიანეს 19 ოქტომბრისა. ყრილობა გაიხსნება დილით ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში.

2—1

საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი: ყურულაშვილი.

სოფლისაკენ
(ცეკას პლენუმის რეზოლიუციის გამო)

ჩვენ რამოდენიმეჯერ შევეხეთ ცეკას პლენუმის რეზოლიუციას და განვმარტეთ მისი საერთო აზრი, აგრეთვე ზოგიერთი ცალკე მუხლი.

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ზოგიერთ სხვა საკითხებზე, რომელთა შესახებ პლენუმმა გამოიტანა თავისი დადგენილებანი.

ცეკას უკანასკნელი პლენუმი მთლიანად უნდა ჩაითვალოს პლენუმად გლეხობის საკითხის შესახებ, მისი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

რა აწუხებს ჩვენს გლეხობას, რა გზით შეიძლება მისი მდგომარეობის გაუმჯობესება?

ავიღოთ, მაგ., გადასახადების საქმე. რომ საბჭოთა სახელმწიფოს საგადასახადო ტვირთი მშრომელი გლეხობისათვის შედარებით მეტად ზომიერია და მცირე,—ამის უარყოფა არ შეიძლება. ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა ანგარიშს უწევს თვითეულ გლეხის მეურნეობის განვითარების ინტერესებს და საგადასახადო შესაძლებლობას, საგრძნობ შეღავათს აძლევს უძლურ მეურნეობას, სრულებით ანთავისუფლებს გადასახადისაგან უღარიბეს და რაიმე შემთხვევით დაზარალებულ გლეხს. ამის შემდეგ, ცეკას პლენუმის დადგენილების თანახმად, სულ ბოლო დროსაც მნიშვნელოვანად იქნა შემცირებული სასოფლო სამეურნეო გადასახადის ნორმები. ამაზე შესაფერი ცნობებიც იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

ასე რომ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაღება არამც და არამც არ შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს გლეხობას.

მაგრამ აქა-იქ ადგილობრივი ხელისუფლება აწესებდა დამატებითი გადასახადს სხვადასხვაგვარი ადგილობრივი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე გლეხობის ე. წ. ნებაყოფლობითი თვით დაბეგვრასაც ჰქონდა ადგილი. და ეს ხდებოდა ხშირად ცენტრის ნებადაურთველად.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ცენტრს ჯერ კიდევ არ ძალუძს სავსებით დააკმაყოფილოს ყველა ადგილობრივი საჭიროებანი; აგრეთვე გასაგებია, რომ პროვინციაში მომუშავე ამხანაგები გატაცებული არიან ფართე საამშენებლო მუშაობით.

მაგრამ ამასთან ისიც უდავოა, რომ ჩვენ ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს სახელმწიფოს საშუალებათა სიმცირე და გლეხობის სულიერი განწყობილება, მისი საგადასახადო უნარიანობა.

ამიტომ ადგილობრივი საგადასახადო „შემოქმედება" იმ სახით, როგორც ამას დღემდე ვხედებოდით აქა-იქ, შეუწყნარებელია როგორც პოლიტიკურად, ისე ფინანსიური თვალსაზრისით, რამდენადაც იგი არღვევს ცენტრის მიერ შემუშავებულ ერთიან ფინანსიურ სისტემას.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ცეკას პლენუმის დადგენილება: „წინადადება მიეცეს სახალხო კომისართა საბჭოს თვალყური ადევნოს, რომ ადგილებზე შემოღებული არ იქნეს რაიმე ახალი გადასახადები და აგრეთვე გლეხობის ნებაყოფლობითი დაბეგვრა, გარდა იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ეს დასაშვებია სათანადო დებულების დაცვით, რაზედაც თანხმობა უნდა იყოს ცენტრიდან".

ამგვარად, ადგილობრივი სათანადო ორგანოების მიერ ფინანსიურ საშუალებათა გამონახვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელნიც დაწესებულია ცენტრალური ფინანსიური წყობის მიერ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ზომების მიღება ადგილობრივი ორგანოების ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი ბიუჯეტის, კერძოდ თემის ბიუჯეტის მოგვარების საკითხს. თემის ბიუჯეტის ჩამოყალიბება, შემოსავალ-გასავლის სწორი გათვალწინება გარკვეულ კალაპოტში ჩააყენებს თემის სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობის საქმეს.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმის დადგენილებას აბრეშუმის პარკის შესახებ. აბრეშუმის პარკზე მონაპოლია ჰქონდა მინიჭებული ცეკავშირს. ცეკავშირმა, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შესძლო მონოპოლიის სასურველად ჩატარება, მეაბრეშუმე გლეხობის თავის დროზე და სავსებით დაკმაყოფილება.

ცეკას პლენუმმა დაადგინა მონოპოლია აბრეშუმის პარკზე ჩამოერთვას ცეკავშირს და გადაეცეს სახელმწიფოს იმ პირობით. თუ ის „დაუბრკოლებლივ გაიღებს თანხებს აბრეშუმის პარკის ოპერაციისათვის". ამასთან პლენუმმა საჭიროდ ალიარა მეაბრეშუმეთა ამხანაგობის შექმნა.

მეაბრეშუმეობა მეტად გავრცელებულია ჩვენში განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მისი მწარმოებელ გლეხობას ეს დარგი საგრძნობ შეღავათს აძლევს. სახელმწიფოც ეკონომიურად დაინტერესებულია მისი განვითარებით.

მეაბრეშუმეობის აღორძინებისათვის საჭიროა შესაფერი პირობები იქნეს შექმნილი. უფრო რაციონალურად უნდა მოეწყოს ეს მეურნეობა და გასაღების საქმეც უკეთესად იქნეს დაყენებული.

ეს შესაძლებელია დაქსასულ მრავალრიცხოვან მეაბრეშუმეთა კოოპერატიული გაერთიანებით და სახელმწიფოს დახმარებით.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის არა ნაკლებ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მესაქონლეობა-მეჯოგეობა. მის უმთავრეს სახეს მეცხვარეობა შეადგენს.

მაგრამ მატყლის გასაღების საქმე დღემდე არ არის რიგიანად მოგვარებული.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ცეკას პლენუმის რეზოლიუციის შემდეგი მუხლი: „საჭიროდ იქნეს ცნობილი მატყლზე შემოღებული მონოპოლიის გაუქმება".

მონოპოლიის გაუქმებას უნდა მოჰყვეს ფასების პოლიტიკის შეცვლა იმ დაწესებულებათა მხრივ, რომელნიც ჩვენში მატყლს ყიდულობენ. საწარმოო-კომერციული დაწესებულება ცდილობს ნედლი მასალა, ამ შემთხვევაში მატყლი, რაც შეიძლება იაფად შეიძინოს. მაგრამ მუშურ-გლეხური სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ისე ვერ მოიქცევა, როგორც კერძო კაპიტალისტური დაწესებულება. ჩვენში მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ინტერესთა დაპირდაპირებას არ უნდა ექნეს ადგილი. რომელიმე ტრესტმა ან სინდიკატმა, როცა ის იძენს გლეხობისაგან ნედლ მასალას, ანგარიში უნდა გაუწიოს ამ მასალის თვითღირებულებას, მაზე გაწეულ შრომას და ამის მიხედვით შეიმუშაოს ფასები. თუნდაც ის ფაქტიურად ერთად ერთი შემძენი იყოს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების, მან ამით არ უნდა ისარგებლოს იმისათვის, რომ უკარნახოს სოფლის მეურნეს დაბალი, მიუღებელი ფასი. ეს იქნებოდა ფაქტიურად ისევ მონოპოლიის გაგრძელება. ეს დაუშვებელია როგორც პოლიტიკურად, რამდენადაც ასეთი პოლიტიკა დაბადებს უკმაყოფილებას მწარმოებელ გლეხობაში, ისე ეკონომიურად, ვინაიდან ამით ფერხდება ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარება.

მესაქონლეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საძოვრების საკითხი, რომელიც არ არის სათანადოდ გადაჭრილი. ეს გარემოება აბრკოლებს მესაქონლეობის აღორძინებას, აგრეთვე იწვევს მრავალ გაუგებრობას და უკმაყოფილებას.

ცეკას პლენუმმა ამჯერაც მიაქცია ყურადღება და დაადგინა—გამოყოფილ იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ევალება „მოკლე დროის განმავლობაში მოაგვაროს ტყეების და საძოვრების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები".

სხვა დროს ჩვენ შევეხებით დანარჩენ საკითხებს, რომელთა შესახებ ცეკას პლენუმმა სახელმძღვანელო აზრები მოგვცა.

აქ კი ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კარგი რეზოლიუციის გამოტანა ერთია და მისი გატარება ცხოვრებაში, კიდევ სხვა. როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა ცეკას პლენუმის დადგენილებანი სავსებით და რაც შეიძლება მოკლე დროში იქნენ განხორციელებულნი.

ჩვენში კიდევ დარჩენილა ბნელი ძალებით სავსე ჯურღმულები

გთხოვთ ნუ გაგიკვირდებათ. ასეთი ჯურღმულები აღმოჩნდა ჩვენი ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოში; ასეთ ბნელ ძალებათ კი მოგვევლინა რუს შავრაზმელების მთელი ხროვა, ყოფილი წევრები „ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა", თეთრი ოფიცრები, რომლებიც რაღაც სასწაულით გადაურჩენ ოქტომბრის სუსხს და თავშესაფარი იპოვეს რკინისგზათა სამმართველოში. ისინი მუშკორის ფხიზელმა თვალმაც კი ვერ შეამჩნია. ძნელი ამოცანების პირობებში რომლებიც ვსძლიეთ და ვსძლევთ ესლაც ჩვენი ნაციონალური პროგრამის განხორციელების დროს, თითქოს სდვილათ შეიძლებოდა მხედველობიდან გამოგვპაროდა იმგვარი ფაქტი, როგორიც არის ჩვენი სახელმწიფო მუშაობის ერთ-ერთ პუნქტში საბჭოთა ხელისუფლების ისეთი მოწინააღმდეგე, მტრული ელემენტების ხელ უხლებლათ დატოვება, რომლებიც ყოველწუთში მზათ არიან ხანჯალი ჩასცენ ზურგში საბჭოთა ხელისუფლებას და ყოველდღე ხელს უშლიან ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობას ფარული საბოტაჟით. ამ საკითხში ჩვენ მხედველობიდან გაუშვით მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც მრავალ საშიშროებას შეიცავს. ჩვენ დიდი შეცდომა ჩავიდინეთ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დროს ამიერ-კავკასიაში, ჩვენ ყურადღებიდან გაუშვით ის მემკვიდრეობა, რომელიც მივიღეთ მეფის და მენშევიკურ-დაშნაკურ-მუსავატისტური მთავრობებისაგან იმ შავრაზმელთა სახით, რომლებმაც მოიკალათეს ჩვენი სახელმწიფო აღმშენებლობის ყველაზე უფრო მგრძნობიერ პუნქტში—რკინის გზაზე.

სრულიად ბუნებრივი და მართალია, რომ ჩვენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა მშენებლობის განვითარების პირველ პერიოდში, მთავარ ყურადღებას ვაქცევდით ბრძოლას ადგილობრივ შოვინიზმთან. ამიერ-კავკასიის სინამდვილის პირობებში, განსაკუთრებით მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების კოალიციის ბატონობის გამოცდილების შემდეგ (ომი ეროვნებათა შორის) მთავარ საფრთხეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმოადგენდა შოვინიზმი ჩვენს საკუთარ რიგებში, თვით ჩვენს შორის—სომხებს, ქართველებსა და მუსლიმანებს შორის. ჩვენ პირველ რიგში შეუდექით ყველაზე მთავრობების მიერ მოყენებული ჭრილობების მოშუშებას. ამიერ-კავკასიაში ნაციონალური საკითხის ეს მთავარი ნაწილი ჩვენ ეჭვს გარეშეა,—ეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამი წლის არსებობამ დაამტკიცა,—სწორათ გადავჭერით. გადავჭერით ურთულესი ამოცანა, რომელიც ვერ გადასჭრეს მენშევიკებმა, რომლებმაც მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, ჩვენი პოლიტიკის გამოცდის შემდეგ აღიარეს, რომ შეუძლებელია საქართველოს, სომხეთის და აძერბეიჯანის აბსოლიუტურად დამოუკიდებელი არსებობა ფედერაციის გარეშე. ჩვენ მრავალი დაბრკოლებები გვეღობებოდა ამ ბრძოლაში. შოვინისტური შხამი, დანთესული დაშნაკების, მენშევიკების და მუსავატისტების მიერ, შეიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების უჯრედებში ისე ღრმად, რომ თვით ჩვენ კომუნისტურ ორგანიზაციებში წარმოშვა იდეური მიმდინარეობა, რომელიც პარტიულ ლიტერატურაში „უკლონიზმის" სახელით მონათლეს. ეს მიმდინარეობა ამ ჟამად სრულიად გაქრა ნაციონალური საკითხის სწორათ დაყენებით და გადაჭრით მეთორმეტე პარტიულ ყრილობაზე, რომელმაც გაკიცხა შოვინიზმის და „გადახრების" ყოველგვარი სახე, დაწყებული ველიკორუსული შოვინიზმით და გათავებული პატარა ერების შოვინიზმით.

ვაფასებთ რა ჩვენ მიერ შესრულებულ მუშაობას აქ ამიერ-კავკასიაში მეთორმეტე პარტიულ ყრილობის იმ რეზოლიუციის თვალსაზრისით, რომელიც ეხება ეროვნულ საკითხს, ჩვენ ვამჩნევთ შემდეგს: რამდენადაც ბრძოლა ადგილობრივ შოვინიზმის წინააღმდეგ სწარმოებდა წარმატებით და მე-12-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, იმდენად ჩვენ საკმაოთ ვერ შევაფასეთ ჩვენს დაწესებულებებში დარჩენილ ველიკორუსულ შოვინიზმის ნაშთების მნიშვნელობა — იმ ნაშთების, რომლებიც ჩუმად, თანდათანობით და ფარულად ატარებენ მცირე ეროვნებათა ჩაგვრის ძველ სისტემას, ხოლო ზოგჯერ აშკარად სტოვებენ უყურადღებოთ ეროვნულ რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურულ საჭიროებებს.

ამას წინათ ჩვენ შევეხეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში და აღმოვაჩინეთ იქ შავრაზმელთა მთელი ხროვა.

აი მათი ჯერ კიდევ არასრული სია:

ბოგდანოვი ლეონ ნიკოლოზის-ძე შავრაზმელი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრი.

კეტროვსკი გენად გენადის-ძე—კონტრ-რევოლიუციონერი.

კელჩევსკი ალექს. ვლადიმერის-ძე—ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცერი.

ვერტეპოვი ალექსანდრე ალექსის-ძე უკიდურესი მონარქისტი, ადგილი მისცა თავის განყოფილებაში კოლჩაკის ყოფილ თეთრგვარდიელ ოფიცერს სლეზიევსკს, რომელიც იღებდა მონაწილეობას ბაქოს 26 კომუნარის დახვრეტაში.

ზელეზნევი ალექსანდრე ევგრაფის ძე მონარქისტი.

ემჩინოვი დიმიტრი ანფისის ძე „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრი.

ნარვოიტ პავლე ვალენტინის ძე საბოტაჟნიკი-ლოთი.

გარინი ივანე ალექსანდრეს ძე ჩეხო-სლოვაკიის ყოფილი ოფიცერი.

სტრელკოვი დიმიტრი დიმიტრის-ძე—ყოფილი გენერალი, მეფის მოადგილის კანცელარიის მმართველი კავკასიაში და გენერალ-გუბერნატორი განჯაში.

არხიპოვი მიხ. ივანეს ძე—„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრი—მონარქისტი.

რაგომსკი კონსტანტინე ივანეს ძე კონტრ-რევოლიუციონერი.

კლიმოვი ბიქტორ ვასილის ძე—ყოფ. პოლკოვნიკი, მონარქისტი, აგზავნიდა ოფიცრებს დენიკინის არმიაში.

კიგერი ვლადიმერ გუსტავის ძე—ყოფილი გენერალ-მაიორი.

კალანჩუკი ივანე ანდრიას ძე—მონარქისტი.

ეპიხევცევი პეტრე კიმოთეს ძე—მონარქისტი.

სოროკინი ალექსი ალექსანდრეს ძე—ყოფილი შტაბს-კაპიტანი, მონარქისტი.

გერომშენკო ალექსანდრე თეოდორეს ძე მონარქისტი.

ლუზანოვა—ანასტასია ვლადიმერის ასული—„დამკვრელი ბათალიონის" ყოფ. პრაპორშჩიკი ქალი კერენსკის დროს, საბჭოთა ხელისუფლების მტერი.

ინკატოვი ნიკოლ. გიორგის ძე შავრაზმელი, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრი.

ანიშჩუკი ვახტანგ მიხეილის ძე დენიკინის ოფიცერი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სამხედრო მოქმედებაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კავკასიაში.

კოვალსკი ანდრ. ნიკოლოზის ძე მეფის პოლკოვნიკი, მონარქისტი.

ელფინი ნიკოლოზ ალექსისის ძე მემარჯვენე ესერი, აშკარა მტერია საბჭოთა ხელისუფლების.

პოპოვა ანტონ. ალექსანდრეს ასული—ცოლი თეთრების ყოფილი ოფიცრის, რომელიც გაქცეულია უცხოეთში,—აშკარა კონტრ-რევოლიუციონერი.

კოლეგინი ალექს. ალექსანდრეს ძე—ყოფილი ბოქაული, აშკარა მონარქისტი.

შელენოვი—მონარქისტი.

ჩაიკოვსკი ალექსანდრე—მონარქისტი.

სტარიცინი—მონარქისტი.

მიტროფანოვი—მონარქისტი.

კრავჩენკო იაკობ—მონარქისტი ჟანდარმის შვილი.

კერენსკი პავლე—მონარქისტი, ჟანდარმის შვილი.

განა მათ ადგილი უნდა ჰქონდეთ საბჭოთა დაწესებულებებში? ნუ თუ მარკოვ მეორის და დუბროვინების ყავახანების ეს მუდმივი სტუმრები ისეთი სპეცებია, რომ არ შეიძლება მათი შეცვლა? ნუ თუ დაირღვევა ჩვენი რკინის გზა, თუ გავდევნით ფარულ საბოტაჟნიკებს? გა ა ჩვენ გამოგვადგებიან ეს ყოველგვარ კაციჭამიობის წამქეზებლები, რომლებიც ამ ჟამად შუღლს სთესენ ეროვნებათა შორის? მათსავით ვინ აფერხებს ამ ჟამად რკინისგზების ნაციონალიზაციის საქმეს?

ამ შავრაზმულ „ჩინოვნიკურ" ხროვას ბოლო უნდა მოეღოს და უნდა გავწმინდოთ ჩვენი აპარატები იმ ელემენტებისაგან, რომელთაც არ შეუძლიათ და არ სურთ შეეთვისონ ადგილობრივ მუშაკებს, რომელთაც არ შეუძლიათ საბოლოოდ შეურიგდენ და შეითვისონ ერთა თანასწორობის და ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპები.

არ ვიცი, ამ თავაშვებულ შავრაზმელებს გამოუჩნდებად ვინმე დამცველი თუ არა, მხოლოდ დარწმუნებული ვარ, ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ჩვენ ბრძოლას ველიკორუსიულ შოვინიზმის ნაშთების წინააღმდეგ ამიერ-კავკასიაში მისცენ საერთოდ რუსების დევნის ხასიათი. ასე იქცევიან ყოველთვის საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრები მაგალითებისათვის შორს არ მოგვინდება სიარული. როცა სომხეთს და საქართველოს ვწმენდავდით ჩვენ დაშნაკებისაგან, სომეხი შოვინისტები ერთ ალიაქოთს აყენებდნენ: „რუსები და ქართველები სდევნიან სომხობასო". როდესაც საქ. სახ. კომ. საბჭო და საქართ. საგანგებო კომისია სწმენდავენ საბჭოთა აპარატებიდან, მენშევიკებს, რომელთაც მოაწყეს აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მენშევიკები და ქართველი ნაციონალისტები ისევე გაჰყვირიან საქვეყნოთ: „რუსები და სომხები სდევნიან ქართველობასაო". ეხლა რასაკვირველია დუბროვინისა და დენიკინის მიმდევრებიც შესძრავენ მთელ ქვეყანას: „ქართველები და სომხები სდევნიან რუსობასო". მაგრამ ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმათ ველურ სისინს, რუს, ქართველ, სომეხ და მაჰმადიან მუშებსა და გლეხებს კი ვერავინ ვერ შეაშფოთებს.

სამოქალაქო ომის უკანასკნელი ნაპერწკალი ამიერ-კავკასიაში უკვე ჩაქრა სამუდამოთ.

ამასთან ერთად აუცილებლათ უნდა მოუღოთ ბოლო ზოოლოგიურ ნაციონალიზმის ნაშთებს.

ა. ნაზარეტიანი.

ინგლისის მუშები იცავენ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებას

მაკდონალდის მთავრობა აკეთებდა ბურჟუაზიის საქმეს.—„მუშათა კლასი არ დაუშვებს მაკდონალდის კაპიტულიაციას ბურჟუაზიის წინაშე".—საარჩევნო ბრძოლა ატარებს კლასობრივ სახეს.—ლონდონში მუშებმა მოაწყვეს დიდი მანიფესტაცია; კომუნისტებს ოვაციებით ხვდებოდენ.—მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის.

მუშათა პარტიის მემარცხენე ჯგუფის მანიფესტი

საარჩევნო მანიფესტი.

ლონდონი. 15 ოქტ. გამოქვეყნებულია ინგლისის მუშათა პარტიის მემარცხენე უმცირესობის (მუშათა მოძრაობის მემარცხენე მიმდინარეობის) საარჩევნო მანიფესტი.

მანიფესტი აღნიშნავს, რომ ინგლისის ბურჟუაზია უკმაყოფილო დარჩა მუშათა მთავრობით, თუმცა უკანასკნელი ასრულებდა მის სურვილებს. ბურჟუაზიისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ მუშათა პარტიის კონფერენციამ, მუშათა მთავრობის ინსტრუქციების თანახმად, გამორიცხა თავის წრიდან რამდენიმე ათასი საუკეთესო რევოლიუციონერი მებრძოლი. კაპიტალისტები მოითხოვენ კომუნისტური პარტიის სრულ განადგურებას, კემპბელის დაპატიმრებას და ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ჩაშლას. მანიფესტი აღნიშნავს, რომ მუშათა მთავრობამ ვერ გაბედა ქედის მოხრა ამ მოთხოვნილებათა წინაშე, ვინაიდან მუშათა კლასი არ აპატიებდა ამას.

მანიფესტი მოუწოდებს მუშათა მასებს მხარი დაუჭირონ მუშათა კლასის ყველა კანდიდატებს, მაგრამ წინადადებას აძლევს მუშებს თვალყური ადევნონ, რათა საარჩევნო ბრძოლა სწარმოებდეს კლასობრივი პრინციპების ხიხედვით.

მანიფესტი აშუქებს უმცირესობის პროგრამას, რომელიც მოითხოვს **კაპიტალის დაბეგვრას, სამხედრო სესხის პროცენტების გაუქმებას, დოუესის ეგმაზე უარის თქმას, ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დამტკიცებას, საბჭოთა კავშირისათვის 100 მილ. გირ. სტერ. სესხის მიცემას, სხვა ტომების განთავისუფლებას ინგლისის ბატონობისაგან და განიარაღებას.**

მუშების მანიფესტაცია

ლონდონი. 14 ოქტ. ლონდონში გაიმართა ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ელემენტების დიდი დემონსტრაცია. მონაწილეობას იღებდა 10.000-დე მუშა. გამოტანილი იყო მრავალი პროფკავშირების დროშები.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვეს კომუნისტმა ტომ-მანმა; კემპბელმა და აგრეთვე სამთომადნო მუშათა ფედერაციის მდივანმა კუკმა.

კემპბელმა აღნიშნა, რომ მიტინგზე მრავალი პოლიციელები და ჯაშუშებიაო. და ამასთანავე მან განაცხადა, რომ მუშათა მთავრობის მართვა-გამგეობის 9 თვის შემდეგ ამას ადგილი არ უნდა ჰქონდესო.

დემონსტრაციის დასასრულს მოხდა არევ-დარევა, რომელიც გამოიწვიეს „ინგლისელ ფაშისტების" საზოგადოების წევრებმა; ფაშისტები მღეროდენ პატრიოტულ სიმღერებს და მედიდურად ექცეოდენ მუშებს. მუშების ერთმა ნაწილმა იერიში მიიტანა ფაშისტების წინააღმდეგ, მაგრამ ფაშისტებს დაეხმარა პოლიცია. პოლიციამ დააპატიმრა ერთი მუშა, რომელსაც შემდეგ 3 კვირით დაპატიმრება მოუსაჯეს პოლიციელის შეურაცყოფისათვის.

მუშათა პარტიის დამატებითი მანიფესტი

ლონდონი 15 ოქტ. მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა დამატებითი საარჩევნო მანიფესტი, რომელშიაც აცხადებს, რომ მუშათა მთავრობა დახმარებას უწევდა ფერმერებს კოოპერატივებისათვის სესხის მიცემით და სასოფლო-სამეურნეო განათლებისათვის ხელის შეწყობით. **მანიფესტი აღნიშნავს, რომ მუშათა მთავრობის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს უმუშევართა რიცხვი 100.000-დე შემცირდა. მუშათა მთავრობამ გააუქმა უმუშევართათვის დახმარების ხანგამოშვებით მიცემა, რამაც 25 პროცენტით გაადიდა დახმარების საერთო რაოდენობა.**

მანიფესტი ხელახლა აყენებს შემდეგ მოთხოვნილებებს; მაღაროების ნაციონალიზაცია, საბინაო ქირის შემცირება, მაცხოვრების შესახებ კანონის გადასინჯვა, საადგილ-მამულო ქონების დაბეგვრა, ელექტრონის სადგურების სისტემის განვითარება იაფ-ფასიან ენერგიის და სინათლის მისაღებად, საშეფო კომისიის შედგენა ექსპორტ-იმპორტისათვის ლიცენზიების გასაცემათ, მოგების შეზღუდვა სახელმწიფო ვაჭრობის შემოღებით, დასახიჩრებულ მუშებისათვის ჯილდოს მიცემის შესახებ კანონის შესწორება, სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირება არაკვალიფიციურ შრომის ზოგიერთ დარგებში.

ეს ისედაც ცხადი იყო

ლონდონი, 15 ოქტომბერი. ლიბერალებმა უკვე დაიწყეს საარჩევნო კამპანია. კამპანია დაიწყო ასკვიტის სიტყვით. ასკვიტმა განაცხადა, რომ **პარლამენტის დათხოვნის ნამდვილი მიზეზი არის ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს მუშათა მთავრობის ფილაჯობის აშკარა ნიმუშს.**

ბურჟუაზიის ერთიანი ფრონტი

ლონდონი. 15 ოქტ. კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის იზრდება ლტოლვა შეთანხმებისაკენ; შეთანხმებას საჭიროდ სთვლიან იმისათვის, რომ არ მოხდეს ბურჟუაზიული ხმების გაყოფა იმ ოლქებში, სადაც წამოყენებულია კონსერვატორების და ლიბერალების კანდიდატები. **გლაზგოში ასეთი შეთანხმება უკვე მიღწეულია: 15 ოლქიდან 13-ში წამოყენებული იქნება კონსერვატორების კანდიდატები, ორში კი ლიბერალების.** ქალაქ პეისლიში კონსერვატორებმა მოხსნეს თავისი კანდიდატურა იმ მიზნით, რომ ხელი არ შეუშალონ ასკვიტს, რომელიც ამ ოლქში ლიბერალების სახელით გამოდის მუშათა პარტიის კანდიდატის წინააღმდეგ.

რატომ უნდა გავაძლიეროთ საჰაერო ფლოტი
(საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ყრილობის გამო)

6 წელია, რაც ოფიციალურად დამთავრდა მსოფლიო ომი, მაგრამ მშვიდობიანობა ჯერაც არ დამყარებულა. ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის სწარმოებს ყველგან და სხვადასხვა სახით: „ტკბილი" საუბრის დროს გენუას კონფერენციაზე, ლონდონის კონფერენციაზე, ჩინეთში, ავღანისტანის საზღვრებზე, სპარსეთში, არაბეთში და სხვ.

ამ ბრძოლას ჯერ არა აქვს აშკარა ხასიათი.

მაგრამ ყველაფერი ის, რაც დღეს ხდება მთავარი იმპერიალისტების სამხედრო ქარხნებში და ლაბორატორიებში, სამხედრო ტეხნიკის არაჩვეულებრივი განვითარება, საზღვაო და საჰაერო ფლოტების გაძლიერება, აშკარად ამტკიცებენ, რომ იმპერიალისტები ემზადებიან „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის" მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად.

არაჩვეულებრივ განვითარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში საავიაციო ტეხნიკა. ომის დასაწყისისათვის ავიაცია მხოლოდ ფეხს იდგამდა. აეროპლანის გაფრენის მანძილი არ აღემატებოდა 41 ვერსს საათში, მის მიერ მიღწეული სიმაღლე კი არ აღემატებოდა 6 ვერსს.

1923 წელს კი მიღწეული იქნა ფრენის სისწრაფე 425 ვერსი საათში და ფრენის სიმაღლე—თითქმის თერთმეტ ვერს ნახევარი. ომის დროს ფრენის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა რამდენიმე საათს, ახლა კი აეროპლანს შეუძლია მიწაზე დაუშვებლათ იფრინოს 30—36 საათი.

ომის დასაწყისში აეროპლანი წარმოადგენდა მხოლოდ დაზვერვის საშუალებას, მაგრამ უკვე ცოტა ხნის შემდეგ მისი როლი თვალსაჩინოდ გაიზარდა: აეროპლანი შეაიარაღეს ტყვიისმფრქვეველით, ბომბებით და და ის დაზვერვის საშუალებიდან გადაიქცა საშიშ მტრად. მთელი ომის განმავლობაში აეროპლანებიდან ჩამოყარეს 775,000 ბომბა. ომის დროს აეროპლანებს შეეძლოთ წაეღოთ სამი ფუთი ტვირთი, ახლა აეროპლანის დატვირთვა აყვანილია 124 ფუთამდი და სწარმოებს მუშაობა დატვირთვის გასადიდებლათ 300 ფუთამდი.

საჰაერო ფლოტს მომავალ ომში უდიდესი მნიშვნელობა ექნება და აკი გაძლიერებული ყურადღებაც აქვს მიქცეული მას.

საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის იტალიის საავიაციო ქარხნები დღე და ღამ მუშაობენ და ათასობით ამზადებენ ახალ და ახალ აეროპლანებს.

აი როგორ იზრდება იმპერიალისტური სახელმწიფოების საჰაერო ფლოტი:

	ყველა ამ ქვეყნებში აეროპლანი	გაწვრთნილი აქვს [illegible]	რეზერვ. ყველა ([illegible]) სამოქალაქო [illegible]
საფრანგ.	1560	2200	4600
ინგლისი	820	1000	3000
შეერთ. შტ.	800	—	3000
იტალია	650	1000	200
პოლონეთი	100	240	300
რუმინეთი	150	—	200

საჰაერო ჯარი კი შესდგება საფრანგეთის—37000 კაცისაგან, ინგლისის—35,000, შეერთებული შტატების—13,000, იტალია—18,000, პოლონეთი—6,500, რუმინეთი—500 კაცისაგან.

ასეთ ყურადღებას აქცევენ საჰაერო ფლოტს დიდი და პატარა იმპერიალისტები.

საჰაერო ფლოტის გაძლიერებასთან ერთად იმპერიალისტების სამხედრო ტეხნიკამ შექმნა შესაძლებლობა ქიმიური ომის.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მომავალ ომის დროს არ იკმარებენ ბრძოლას ზარბაზნებით, ტყვიისმფრქვევლებით, ასაფეთქებელი მასალით სავსე ბომბებით. ერთი მებრძოლი მხარე მიზნათ დაისახავს რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს თავის მოპირდაპირეს რა საშუალებითაც არ იქნება ეს. დიახ, რა საშუალებითაც არ იქნება. ბურჟუაზია თავისი მიზნების მისაღწევად საშუალებებს არ არჩევს. მისთვის ყველა საშუალებები კარგია. პასტერის სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტში პარიზში, საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს დაკვეთით ამზადებენ ბომბებს, რომლებიც სავსე იქნება სხვა და სხვა გადამდებ სენის—ხოლერის, შავი ჭირის და სხვ.—ბაცილებით. ასეთივე მუშაობა სწარმოებს სხვა სახელმწიფოებშიც.

ამ ბომბებით იმპერიალისტები შეაიარაღებენ საჰაერო ფლოტს. ეს იქნება საშინელი ომი. ფრონტები მოისპობა. ფრონტი იქნება ყველგან. საფრთხე მოელის სახელმწიფო ყველა პუნქტს, თითოეულ მცხოვრებს, რადგან ჰაერიდან გადმოყრილი ბომბები არ არჩევენ შეიარაღებულ მებრძოლს და უსუსურ ბავშვს.

რამდენიმე ათეული აეროპლანი სამასი ფუთი ასეთი ბომბით დატვირთული მიწასთან გაასწორებს, უდაბნოთ აქცევს მთელს ოლქს, ამოჟლეტს მთელს მცხოვრებლებს.

მომავალი ომის საშინელება დაგვავიწყებს ყველა ომების საშინელებას ერთად აღებულს. ეს უნდა იცოდეს საბჭოთა კავშირის თითეულმა მოქალაქემ, ამიტომ ჩვენც მზად უნდა ვიყოთ.

უნდა გავაძლიეროთ საჰაერო ფლოტი, აი რატომ უნდა იყოს საბჭოთა კავშირის თითეული მუშა და გლეხი საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრი.

და ს. ს. ფ. მ. ს. დღევანდელმა ყრილობამაც უნდა გამონახოს გზები თავისი მუშაობის გასაფართოებლად, მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად, საქართველოს მუშათა და გლეხთა ფართე მასების ჩასაბმელად საჰაერო ფლოტის მშენებლობის საქმეში.

ე. წ—ძე.

რვა საათის სამუშაო დღის მაგიერ საათნახევარი

ქვემოთ მოთხრობილი ამბავი გამოგონილი არავის ეგონოს. ის ფაქტია.

როგორც ცნობილია საბჭოთა რესპუბლიკებში დაკანონებულია რვა საათის სამუშაო დღე. მაგრამ არა ნაკლებ ცნობილია ისიც, რომ ფაქტიურათ ეს რვა საათის სამუშაო დღე ხშირათ დაყვანილია 6, 5, 4, 3, 2 და ნაკლები საათამდი.

ჩვენი დაწესებულებები სავსეა მოსამსახურეებით თვით მათი გაწმენდის შემდეგაც. ჩვენ ყოველთვის ვუტრიალებთ საკითხს იმაზე, თუ როგორ შევამციროთ მათი რიცხვი და მივაღწიოთ ხარჯების შემცირებასაც, ეს მოსახერხებელი იქნება თუ დაკანონებული რვა საათის სამუშაო დღე ფაქტიურად იქნება შესრულებული.

წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი როგორც ხარჯების შემცირებაზე, ისე შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

ერთ საუცხოვო მაგალითს იმისას, თუ როგორ არის დაყენებული საქმე ამ მხრივ ზოგიერთ დაწესებულებაში, ჩვენ ვეცნობით მოსკოვის „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა"-ში. (№ 288) 7 ოქტ. ჩვენი მკითხველების საყურადღებოთ გვსურს მოვიყვანოთ ეს განსაცვიფრებელი ცნობა აქ.

ბრიანსკის გუბერნიაში არის ერთი სახელმწიფო ტრესტი. ამ ტრესტში შედის ერთი მინის ზავოდი. ზავოდში სდგას დროის აღმნიშვნელი მოწყობილობა, რომლის საშუალებით შეიძლება გაგება იმისი, თუ რომელი დარგის მუშა რამდენს მუშაობს. და აი გამოირკვა ასეთი „საარაკო ამბავი": ზავოდის 45 სხვა და სხვა ნაწილი (დარგი) მუშაობს 45 სხვა და სხვა დროის რაოდენობით. ყველაზე მეტი სამუშაო დრო უდრის 6 საათს 35 წუთს და 36 წამს, ხოლო ყველაზე ნაკლები—1 საათს 42 წუთს 56 წამს. 45 სხვა და სხვა სახელობის დარგიდან კანონიერ 8 საათის მაგიერ მუშაობენ **ფაქტიურათ:** 2 დარგი—1 საათნახევარს, 2—2 საათს *), 11—3 საათს, 15—4 საათს, 8—5 საათს, 5—6 საათს.

ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია.

არავინ იფიქროს, რომ ეს „ამბები" ხდება მარტო იქ, სადღაც **შორს,** თუმცა ისევ ჩვენ **საბჭოთა კავშირში. ასეთ რამეს ადგილი აქვს ჩვენშიც.** მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით როგორც საჭიროა სად და სახელდობრ რამდენს მუშაობენ ფაქტიურად.

სანამ ამ საშინელებას ძირიან-ფესვიანად არ ამოვაგდებთ, **სანამ** ეს ბოროტება ჩვენ თვალწინ **არის დაუსჯელათ ატუზული—მანამდი ზედმეტია სიტყვის დახარჯვა „ეკონომიაზე", შრომის ნაყოფიერებაზე და მათ მსგავს „მაღალ მატერიებზე".**

აი სწორედ ამ ავადმყოფობის აღმოჩენა და იმაზე მითითება საკონტროლო ორგანოებისათვის არის მოვალეობა ყველასი, ვისაც სურს ემსახუროს მუშათა საქმეს, ჩვენ სახელმწიფოს.

მეთვალყურე

---

*) წუთებზე და წამებზე არ ვლაპარაკობთ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

მოკლე ხანში მოსკოვში დაიწყება მოლაპარაკება გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.— ამ დღეებში მოელიან საბჭოთა კავშირის ცნობას საფრანგეთის მიერ.—გერმანიის მთავრობამ ლენინგრადის სასარგებლოდ გადასდო ათასი მანეთი.—პოლონეთის „ახრანკის" აგენტი ვარშავაში თავს დაესხა ჩვენი წარმომადგენლობის თანამშრომელს.

საფრანგეთის ელჩად მოსკოვში დაინიშნება დე-მონზი.

მოლაპარაკება შეწყდა იაპონიასთან

ტოკიო. 15 ოქტ. გაზეთი „შუგანშოგასი" იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ჩაშლის გამო სწერს: „მოლაპარაკება უნდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან ძალიან დიდია აზრთა ხხვადასხვაობა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის. მაგრამ იაპონია უნდა წავიდეს დათმობაზე.

გაზეთის ამ შენიშვნას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან იგი ძალიან ახლოს სდგას ტრესტებთან რომლებიც დაინტერესებული არიან სახალინის ნავთით და ნახშირით და რომელთაც შეურიგებელი პოზიცია უკავიათ საბჭოთა კავშირისადმი.

ურთიერთობა პოლონეთთან

ვარშავა. 15 ოქტომბ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომელს კრავჩენკოს, რომელიც გამოდიოდა სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობიდან, თავს დაესხა პოლონეთის „ოხრანკის" აგენტი ჩერეპოვი, რომელმაც რაღაც მჭრელი იარაღი დაარტყა კრავჩენკოს თვალში. თვალი არ დაშავებულა. ჩერეპოვი მიიმალა.

რამოდენიმე დღის წინათ ამ შემთხვევამდის, ჩერეპოვი სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მივიდა რაღაც პროვოკაციული წინადადებით; მაგრამ ის დაპატიმრებული იქნა და გადაეცა პოლონეთის პოლიციას. კრავჩენკოზე თავდასხმით პოლონეთის „ოხრანკამ" შური იძია მისი პროვოკაციული მუშაობის გამოაშკარავებისათვის.

საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა ბესედოვსკიმ ენერგიული პროტესტი განაცხადა კრავჩენკოზე თავდასხმის წინააღმდეგ და მოითხოვა ჩერეპოვის დაუყოვნებლივ დაპატიმრება და იმ პირების დასჯა, რომლებმაც გაანთავისუფლეს ის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში დაპატიმრების შემდეგ. გარეშე საქმეთა მინისტრი დაჰპირდა ბესედოვსკის მისი მოთხოვნილების შესრულებას.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის კომპარტიის საარჩევნო მანიფესტი.

ლონდონი, 16 ოქტ. კომპარტიის საარჩევნო მანიფესტში ნათქვამია, რომ ეხლანდელი არჩევნები არის მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ. მანიფესტი აღნიშნავს, რომ მუშებს მართლადაც უნდა ჰყავდეს ისეთი მუშათა მთავრობა, რომელიც იბრძოლებს მუშათა კლასისათვის. კაპიტალიზმი უნდა განადგურდეს ისეთი მუშათა მთავრობის მიერ, რომელიც მართლადაც იბრძოლებს მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ასეთი მუშათა მთავრობა მზად უნდა იყოს პროლეტარიატის დიქტატურის გამოსაცხადებლად. პროლეტარიატმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი მთავრობა და საბჭოები, რადგან პარლამენტს არ შეუძლია სოციალიზმის დამყარება.

შემდეგ მანიფესტი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დამტკიცება, მაღაროების, რკინის გზების და ბანკების ნაციონალიზაცია.

კომპარტიის კანდიდატები.

ლონდონი. 16 ოქტ. მთელ რიგ ოლქებში კომპარტიამ წამოაყენა თავისი კანდიდატები. ინდოელი კომუნისტი საკლატვალა წამოყენებულია ბატერსის ოლქში.

ესპანეთის არმია.

პარიზი. 16 ოქტ. ესპანეთმა მარაკოში გადაიყვანა ერთი მილიონიანი არმია.

საარჩევნო კამპანია.

ლონდონი. 16 ოქტ. კონსერვატორების მიერ მოწყობილ დემონსტრაციაზე კონსერვატორების ლიდერმა ბალდუინმა, განაცხადა, რომ მუშათა პარტია ვერასოდეს ვერ შესძლებს გახდეს კონსტიტუციონური და პატრიოტული, სანამდე არ გაიწმინდება უკიდურესი ელემენტებისაგან.

ინგლის-ოსმალეთის უთანხმოება

ანგორა 15 ოქტ. გაზეთი „ხაკიმიეთი მილე" იუწყება, რომ 9 ოქტ. ინგლისმა წარუდგინა ოსმალეთს ულტიმატიური მოთხოვნილება 48 საათის განმავლობაში დასტოვოს ამას წინად ოსმალეთის მიერ დაკავებული ტერიტორია სანაპირო რაიონში. იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი არ შეასრულებს ამ მოთხოვნილებას, ინგლისი ემუქრება რომ უბრძანებს სამხედრო სარდლობას მიიღოს სათანადო ზომები. საპასუხო ნოტაში ოსმალეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ ოსმალეთს არ დაურღვევია ერთა ლიგის დადგენილება, როდესაც დაიკავა ირაკთან მდებარე ადგილები, ვინაიდან მოსული ეკუთვნის ოსმალეთს და მასზე ოსმალეთი არასოდეს უარს არ იტყვის.

ოსმალეთის გაზეთები გამოსთქვამენ შიშს იმის გამო, რომ ოსმალეთ-ინგლისის კონფლიქტს შეუძლია გამოიწვიოს ომი და ახალი გართულებანი.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

პეკინი, 15 ოქტომბერი. უარყოფენ ხმებს, თითქოს ჩჟან-ცზოლინის ჯარებს აეღოთ შან-ხაი-გუანი. ბრძოლა შანხაი-გუანიასთან იყო მეტად სერიოზული.

უ-პეი-ფუს ჯარები პირველათ იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ მათ კვლავ დაიბრუნეს წინანდელი პოზიციები. მახლობელ დღეებში მოსალოდნელია გენერალური შეტევა.

პეკინი, 15 ოქტომბერი. ჩე-კიანგის პროვინციის ჯარები, რომლებიც აუჯანყდენ პეკინის მთავრობას, საბოლოოდ განადგურებული არიან, რადგან მათ უეცრად უღალატა მთელმა დივიზიამ, რომელიც გადავიდა პეკინის მთავრობის მხარეზე.

გენერლები ლუ-იუნგ-სიან და ხოფე-ლი იაპონის გემით გაიქცენ ნაგასაკიში. მთავრობის ჯარებს გზა გახსნილი აქვთ შანხაისაკენ. შანხაის ოლქში გაძლიერებულად იცავენ საფრანგეთის კონცესიების ტერიტორიას.

პეკინი, 15 ოქტომბერი. ჩჟან-ცზოლინმა დაარსა საკუთარი საგარეო საქმეთა სიმინისტრო ჩჟან-დი-მინის მეთაურობით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გროზნის ნავთის სამმართველოს საწარმოო პროგრამა.

მოსკოვი 16 ოქტომბერი. ს. მ. უ. საბჭომ განიხილა და დაამტკიცა გროზნის ნავთის სამმართველოს საწარმოო პროგრამა 1924—25 წლის საოპერაციო წლისათვის; ამ პროგრამის მიხედვით ამოღებული უნდა იქნეს 103.200.000 ფუთი ნავთი.

მოსკოვის უძრავ ქონებათა სამმართველოს მუშაობა

მოსკოვი 16 ოქტომბერი. მოსკოვის უძრავ ქონებათა სამმართველო ამ ჟამათ იხილავს საკითხს საბინაო სივრცის გადიდების შესახებ მოსკოვში. საბინაო სივრცის გადიდების მიზნით გამოყენებული იქნება ჰერთან ახლო მდებარე სართულები და ყოფილ მდიდრულ სახლების საწყობები და სხვადასხვა შენობები.

„ხელები შორს ჩინეთისაგან"

მოსკოვი, 16 ოქტ. მოსკოვში საზოგადოებაში „ხელები შორს ჩინეთისაგან" შევიდენ თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სრული შემადგენლობით. კვლავ შემოდის განცხადებები ფაბრიკა-ქარხნებიდან საზოგადოებაში კოლექტიურად ჩარიცხვის შესახებ. საზოგადოებაში მისი წევრთა რაოდენობა აღემატება 1 ნახ. მილიონ კაცს.

უკრაინა

რკინისგზებზე

ხარკოვი 16 ოქტ. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს განზრახვა აქვს მომავალ საბიუჯეტო წელში გაადიდოს სამგზავრო და საბარგო მატარებლების რიცხვი.

განზრახულია აგრეთვე აპოსტოლოვო-ხერსონის რკინისგზის ხაზის აგების დამთავრება.

უცხოელი მეზღვაურები

ოდესა, 16 ოქტ. გაიმართა იტალიელ მეზღვაურთა კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება შრომის კანონთა კოდექსის, სოციალურ დაზღვევის და კოოპერაციის შესახებ.

იტალიელი მეზღვაურები ძალიან დაინტერესა საბჭოთა კავშირის ფინანსიურმა მდგომარეობამ, მოსავლის პერსპექტივებმა და მრეწველობის განვითარებამ. მათ გამოსთქვეს სურვილი, რათა რეგულიარულად იმართებოდეს ასეთი მოხსენებები ჩამოსულ მეზღვაურებისათვის.

მიმოსვლა ამერიკასთან

ოდესა, 16 ოქტ. ჩრდილო ამერიკის კომპანიამ „სტიპბიპ კორპორეიშენ"-მა მოაწყო გემების მიმოსვლა ამერიკის და შავი ზღვის ნავთსადგურებს შორის.

დამოკიდებულება საფრანგეთთან

პარიზი. 16 ოქტ. საფრანგეთის ცნობილმა ჟურნალისტმა ერბეტმა განაცხადა, რომ დე-მონზის კომისია, ალბათ, წინადადებას შეიტანს საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებლივ ცნობის შესახებ. ერბეტი ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობის შემდეგ პარიზში დაიწყება მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის. საფრანგეთის ელჩათ მოსკოვში იქნება დე-მონზი. ერბეტი აცხადებს, რომ მეტად სასურველი იქნება, თუ მოლაპარაკებას დაესწრება ჩიჩერინი.

ერბეტი აღნიშნავს, რომ მეფის მთავრობის ყოფილი საელჩო პარიზში და აგრეთვე რუსეთის ის სამხედრო გემები, რომლებიც ბიზერტაში იმყოფებიან, უნდა გადაეცეს საბჭოთა მთავრობას, მაგრამ რუსეთის ძვირფასი ნივთები და ყოველგვარი ქონება ჩამორთმეული უნდა იქნეს, თანახმად საფრანგეთის კანონებისა, მოლაპარაკების დამთავრებამდი.

სავაჭრო ხელშეკრულება გერმანიასთან

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა დელეგაცია, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. დელეგაციის მეთაურათ დანიშნულია შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი იანსონი. მოლაპარაკება დაიწყება მოსკოვში.

ლენინგრადის სასარგებლოდ

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. გერმანიის რწმუნებულმა ფონ-რადოვიცმა გერმანიის მთავრობის სახელით ამხ. ჩიჩერინს გადასცა 1000 მანეთი წყალდიდობისაგან დაზარალებულ ლენინგრადელთა სასარგებლოთ.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგები

(საუბარი ამხ. კუიბიშევთან)

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კუიბიშევმა „როსტა-"ს თანამშრომელთან საუბარის დროს ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ განაცხადა.

გამოცდა, რომელიც უნდა დაეჭირა ჩვენს ახალს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, დადებითად დამთავრდა. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ჰპოვა თავისი ადგილი და თავისი სახე, ს გაბედულათ მიდის დასახული გზით. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ სწორად მიუდექით საკითხებს და პლენუმმა გადასჭრა მის წინაშე დასმული ამოცანები.

მთავარი ცენტრალური საკითხი —ეს არის თვალყურის დევნება ჩვენს სახელმწიფოში მოკავშირე კლასების ურთიერთობისათვის. მუშების და გლეხების კავშირის გაძლიერების საკითხი დასმულია ცენტრალურ საკანტროლო კომისიის მიერ პირველ რიგში. პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა აღმშენებლობის უმთავრეს პრობლემად დასახეს შრომის ნაყოფიერების გადიდება და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმმაც ამ პრობლემას მიაქცია ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მთელი ყურადღება.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გეგმიან მუშაობაში მთავარი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პირადი შემადგენლობის შერჩევას სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებისა თვის, რაც აუცილებელია სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე დასმულ ამოცანების თავისებურობა და დიდი მნიშვნელობა მოითხოვს ისეთ ორგანიზაციულ გზების გამოძებნას, რომლებიც ჩააბამენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობაში მუშათა და გლეხთა ფართო მასებს. ამ გზაზე ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ დიდი მიღწევები.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრების—მუშების და აგრეთვე გლეხების გამოსვლებში ჩვენ ვიგრძენით ნამდვილ მასების სულისკვეთების გამოხატულება და მათ რევოლიუციონურ ენერგიაში ჩვენ დავინახეთ, რომ მართლაც ცენტრალური საკონტროლო კომისია ხდება საბჭოთა და პარტიულ კონტროლის მუშურ-გლეხურ პარლამენტად.

პლენუმმა საბოლოოდ გაჰფანტა ყოველგვარი ლეგენდები „ოპოზიციასთან ანგარიშის გასწორების შესახებ", რომელიც, თითქოს, ხდება შემოწმების გატარების დროს, თითქოს ეს შემოწმება ხდებოდეს სხვადასხვა გზით, ერთის მხრით ცენტრალური საკონტროლო კომისიის მითითებით, მეორე მხრით კი ადგილობრივი ორგანიზაციების და პირველი საფეხურის შემმოწმებელ კომისიების მიერ. საკანტროლო კომისიების მუშაობის გამოცდილების შესწავლამ აიძულა ცენტრალური საკონტროლო კომისია წამოეყენებინა პარტიული ეთიკის საკითხი.

პარტიის და მუშათა კლასის წინაშე შემოწმების და პარტეთიკის საკითხის დასმა მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გამოაშკარავებულ იქნეს ჩვენი დეფექტები, მოხდეს მათი კოლექტიურად განხილვა და გამომუშავებული იქნეს ბრძოლის საშუალებები ამ დეფექტების წინააღმდეგ.

უცხოეთის ცხოვრება

ბულგარეთის ჯალათი პროფ. ცანკოვი



პროფ. ცანკოვი
(„ლიუმანიტე"-დან)

ამ სისხლით გაუმაძღარ პროფესორს ვერ შეედრება ჯალათობაში ვერც ერთი აღმოსავლური დესპოტი.

ცეცხლითა და მახვილით იქცა იმისი ერთი წლის ბატონობა მთელი ბულგარეთისათვის. ქვეყანას აღარ ახსოვს ერთი მშვიდობიანი დღე.

სოფიაში თუ სხვა ქალაქებში იმისი ბრძანებით ისპობა რამდენიმე ათეული და ასეული მუშა და გლეხ კომუნისტების სიცოცხლე.

ჯალათისაგან მიზანში ამოღებულ მსხვერპლებს არავითარი დანდობა არა აქვთ. მრავალი მათგანი სრულიად უგზო-უკვლოდ იკარგება. ასე ჟლეტავს ცანკოვი მხეცურათ, ვერაგულათ, მალულათ და აშკარათ ყველა თავის მოწინააღმდეგეთ.

მაგრამ ქვეყნის თვალების ასაბმელად ამ ჯალათს იმდენი უტიფრობაც კი ჰყოფნის, რომ თავისი საელჩოების მეოხებით უცხო ქვეყნებში გამოაცხადოს საზიზღარი სიცრუე, თითქოს ეს მკვლელობანი ჩადენილია ერთმანეთის მტრობით კომუნისტებისა და მაკედონელ რევოლიუციონერების მიერ.

ამგვარი ცილისწამებით უნდა თავის თავი ანგელოზათ მოაჩვენოს მსოფლიოს ამ ჯალათ-პროფესორმა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

დახმარება გლეხებს.

ბათომი. 15 ოქტ. სახალხო კომისართა საბჭო შეუდგა რა თესვის კამპანიას აჭარისტანში, დაამტკიცა გლეხთა დახმარების გეგმა. სულ განზრახულია გაიცეს: 21.000 ფ. ხორბლეულობა—ხულოს მაზრას, 7.000 ფუთი—ქედისას, 4.000 ფ.—ჭოროხისას, 6.000.—აჭარის წყლისას.

თამბაქოს წარმოების გაფართოება.

ბათომი. 15 ოქტ. ეკონომიურმა საბჭომ გამოჰყო საგანგებო კომისია, რომელსაც მიენდო გამოიმუშაოს გეგმა თამბაქოს წარმოების გასაფართოებლად, აგრეთვე გამოარკვიოს ბაზრის მდგომარეობა თამბაქოს გასაღების მოსაწესრიგებლათ. იგივე კომისია გადასინჯავს აქციზს მისი შემცირების მიზნით.

აფხაზეთი

წითელი კუთხე.

სოხუმი. 16 ოქტ. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირმა გლეხთა სახლში გახსნა თავისი წითელი კუთხე.

თამბაქოს შესყიდვა და გაგზავნა.

სოხუმი. 16 ოქტ. დაიწყო 1923 წელში შეგროვილ თამბაქოს შესყიდვა და რუსეთში გაგზავნა. საბარგო გემით „ლისოვსკი"-თ „მოსელპრომის" სახელზე გაიგზავნა 9.000 ფუთი თამბაქო. გემ „პესტელ"-ით გაიგზავნა 1.000 ფუთი.

ამ ჟამათ სოხუმში იმყოფებიან ყირიმის, უკრაინის და ლენინგრადის თამბაქოს ტრესტების, „მოსელპრომის" და თამბაქოს სინდიკატის წარმომადგენლები.

პარტიული ცხოვრება

ცოტა რამ უპარტიოთა შორის მუშაობის შესახებ

ამხ. ზინოვიევი რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-13 ყრილობაზედ ამბობდა: „პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშაობამ არას შემთხვევაში არ უნდა დაჩრდილოს მეორე არა ნაკლები სერიოზული ამოცანა: პარტიაში ახლად მიღებულთა საშუალებით უფრო მეტი გავლენის მოპოება უპარტიო მუშებს და მუშაქალებს შორის"-ო.

ამხ. ზინოვიევი აქ გარკვევით აღნუსხავს პარტმუშაობის ორ მომენტს, ორ ამოცანას. ერთის მხრივ აქ სავსებით გათვალისწინებულია პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშაობა, ხოლო მეორეს მხრივ აუცილებლობა უპარტიო ფართე მასების დაპყრობისა პარტიაში ახლად მიღებულთა საშუალებით, რომლებიც სხვებთან შედარებით გაცილებით უფრო ახლო სდგანან მათთან.

აი ეს ორი მომენტი უთუოდ უნდა იქნეს აღნუსხული ჩვენი პარტიის ქვედა აპარატების, იაჩეიკების მიერ და პარტმუშაობაც სწორედ აქეთკენ უნდა წარიმართოს.

ჩვენ ვიცით, რომ პარტიაში ახლად მიღებულები პოლიტიკურად წარმოადგენენ შეგნებულ, გათვითცნობიერებულ კადრს მუშურ-გლეხურ უპარტიო მასსებიდან.

ჩვენთვის ცხადია ისიც, თუ როგორ ჩაბმული არიან პარტმუშაობაში ახლად მიღებული წევრები.

როგორც ვიცით, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ პოლიტიკურ, კულტურულ, საკლუბო, ეკონომიურ მუშაობაში და სხვა.

ერთი სიტყვით ლენინელთა ახალი კადრი ენერგიულად ებმება პარტმუშაობაში.

და აი სწორედ ამ პირობებში წარმოიშვა კიდევ ახალი საკითხი იმის შესახებ, რომ ფართე და გაცხოველებული მუშობა სწარმოებდეს ახლად მიღებულთა საშუალებით უპარტიო მასებშიაც.

პარტმუშაობა არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ პარტიაში ახლად მიღებულ წევრთა შორის. ჩვენს ზოგიერთ პარტიულ იაჩეიკებს ემჩნევა ეს ტენდენცია, ეს გადახრა. ამას უნდა შევებრძოლოთ, ის ძირშივე უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

რასაკვირველია, მართალია ისიც, რომ დაზგასთან მდგომი მუშები რომლებიც პარტიაში იყვნენ მიღებულნი, ჯერ არ არიან ბოლშევიკური, ლენინისტური სულით სავსებით გადაარშული, მონათლული. ეჭვს გარეშეა ამ მიმართულებით ჩვენს პარტიაჩეიკებს ჰმართებს ჯერ კიდევ დიდი გაცხოველებული მუშაობის წარმოება.

მაგრამ ყოვლად შეუძლებელი და მეუწყნარებელია ისიც, რომ ამ მუშაობასთან პარალელურად არ სწარმოებდეს პარტმუშაობა ამ უპარტიო მასსების დასაპყრობადაც.

უკვე დრო არის, რომ უპარტიო მუშებმა თავი დააღწიონ უპარტიულობის და აპოლიტიურობის მდგომარეობას და აქტიურად ჩაებან სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

თუ როგორ მივიზიდოთ, დავიპყროთ ეს უპარტიო მასსები და ჩავაბათ ისინი იაჩეიკურ მუშაობაში,—ამის შესახებ საჭიროა რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამომუშავებულ პროექტის ერთ ერთ პარაგრაფის სრული გამოყენება.

სხვათა შორის ამ პარაგრაფში ჩვენ ვკითხულობთ:

„მუშათა და გლეხთა მასსებში (რომლებიდანაც გამოყვანილი უნდა იქნეს ახალი კადრები პარტიისათვის) საუკეთესო ელემენტების აღმოსაჩენად, ახსანუსხავად და პარტიასთან დასაახლოვებლად, უჯრედი მიმართავს მასიური აგიტაციის და პროპაგანდის გარდა, აგრედვე შემდეგ საშუალებებს: პერიოდულად აწყობს ღია სხდომებს. ამ სხდომებზე აყენებს განსახილველად მასებისათვის საინტერესო და საყურადღებო კითხვებს. ამ კრებებზე იწვევს საუკეთესო უპარტიო მუშებს, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ნიშნავს მოწინავე და გავლენიან მუშებსა და ღარიბ გლეხებს, რომლებიც მხარს უჭერენ პარტიას. (განსაკუთრებით დელეგატ-მუშა-ქალებს და წითელი ჯარიდან განთავისუფლებულ წითელ-არმიელებს) ხდის მათ პარტიის გავლენის გამტარებლათ მასებში, ჰყოფს თავისი წრიდან საკმაოდ მომზადებულ ამხანაგებს, ავალებს მათ ინდივიდუალური კავშირის დაჭერას უპარტიოებთან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიაში მუშა-ახალგაზრდობის (კომკავშირის წევრების) და მუშა-ქალების ჩაბმას"... და სხვა.

აი ამ გზით და მიმართულებით უნდა წარიმართოს ჩვენი იაჩეიკების პარტმუშაობა.

ასეთი საშუალებით კი ჩვენ უპარტიო მუშებიდან მივიღებთ ცოცხალ ძალებს, რეზერვს, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პარტიისათვის.

ამით ჩვენ გავამართლებთ ილიჩის ანდერძსაც, რომელიც ყოველთვის მოგვიწოდებდა განსაკუთრებული ყურადღებით და სიფრთხილით მიდგომას უპარტიო მშრომელ მასსებისადმი მათი საბოლოო დაპყრობის და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში აქტიურად ჩაბმის მიზნით.

შ.

პარტიული მუშაობა ლანჩხუთში

8 ოქტომბერს შესდგა ლანჩხუთის ყველა კომუჯრედების და ახალგაზრდა კომკავშირთა გაერთიანებული კრება ამხ. კ. ცინცაძის თავმჯდომარეობით. შემუშავებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1. მენშევიკების გამოსვლების მიზეზები და ჩვენი მომავალი ამოცანები, 2. ამხანაგების პარტიაში მიღება, 3. კომპარტიას და კომკავშირის შორის დამოკიდებულება და 4. დაკარგული მანდატების აღდგენის შესახებ.

თავმჯდომარის მოკლე მისასალმებელ და შესავალ სიტყვის შემდეგ ვრცელ და შინაარსიან მოხსენებას პირველ საკითხზედ აკეთებს ახლად დანიშნული ამხანაგი რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი მ. კილაძე. უნდა ითქვას, რომ კრებას ემჩნეოდა მეტი საქმიანობა და ამხანაგებიც საერთოდ გამსჭვალული იყვნენ საქმისადმი სიყვარულით. „ზოგი ჭირი მარგებელიაო" ნათქვამია და ეს ჩვენ ამხანაგებზედ ითქმის, ვინაიდან მათ „გამოსვლების" შემდეგ ემჩნევათ მეტი ხალისი, დარაზმვა, მჭიდროთ შეკავშირება და თავი და თავი ერთსულოვნება და მტკიცე ნებისყოფა. დღეიდან სავსებით შეიძლება ითქვას, რომ პარტია ამოქმედებულია და პარტიული მუშობაც ახლო მომავალში სასურველ კალაპოტში ჩადგება. პარტიაში ნაყოფიერ მუშაობას ხელს შეუწყობს აგრეთვე ახლად დანიშნული რაიკომის მდივანი.

კრებაზედ ყველა საკითხები საკმარისი სისწორით იქნა გაშუქებული და გამოტანილი სათანადო რეზოლიუციებიც. კრების დამთავრების შემდეგ ამხანაგები მეტად ნასიამოვნები დაიშალნენ.

ლ. კ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ფოთის ხე-ტყის რაიონის რევიზია

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობით მოახდინა ფოთის ხე-ტყის რაიონის რევიზია.

აღნიშნული რაიონის სამმართველო წარმოადგენს საქართველოს სატყეო ტრესტის განყოფილებას. რაიონში არსებული ხე-ტყის დამმუშავებელ ქარხნებს გასაბჭოების შემდეგ ნაციონალიზაცია უყვეს კერძოდ ხე-ტყის მასალების გაყიდვა ხდებოდა ქარხნებთან არსებულ საწყობებიდან. მიმდინარე წლის დასაწყისში ხე-ტყის რაიონულ სამმართველომ გახსნა ორი ხე-ტყის მასალის საწყობი ფოთში და სამტრედიაში კერძო აგენტებზე გადაცემით საკომისიო პირობებში. ფოთელ აგენტთან შეკრული პირობის თანახმად, უკანასკნელს მიაქვს 15 პროც. ნავაჭრის საერთო ბრუნვიდან რაც თვიურად შეადგენს დაახლოვებით 170 მან. სამტრედიელ აგენტი საკომისიო შემოსავალს თვიურად უდრიდა 160 მან.

სატყეო ტრესტის ფოთის რაიონს დამზადებული ხე-ტყის და შეშის გამოტანა ტყეებიდან ზაფხულში ვერ მოუხერხებია, რაც აიხსნება თანხების სიმცირით. ყურადღება იქნა მიქცეული იმ გარემოებაზე, რომ ხე დამმუშავებელი მუშები ირიცხებიან ზუგდიდის და სენაკის კავშირებში. საჭიროდ იქნა ცნობილი მათი გადმორიცხვა კავშირის ფოთის განყოფილებაში, რაც ეცნობა საქ. პროფკავშირთა საბჭოს.

ფოთის რაიონის სამმართველოს რევიზიის დროს ყურადღება მიექცია მივლინებებზე დიდძალი ხარჯების გაწევამ, რაც შეადგენს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის საერთო ჯამის 20,7 პროც.-ს. რევიზიის დროს ყულევში არსებული ქარხანა რემონტში იყო, მცირე ქარხანა, რომელსაც ამუშავებს მოიჯარადრე, იღებდა რაიონულ სამმართველოდან დასახერხ ხეებს და ახდევინებდა უკანასკნელს დღიურად 10 მან. ეს მაშინ, როცა მუშების ჯამაგირები, ხელშეკრულებით, სამმართველოს ხარჯზე იყო. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მდ. ფიჩორის მნიშვნელობას ტყეების ექსპლოატაციაში.

რევიზიის შედეგების მიხედვით საქართველოს მ | გ. ინსპექციის კოლეგიამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიება, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

დაევალოს სატყეო-ტრესტის ფოთის განყოფილებას:

ა) დაუყოვნებლივ გამოიტანოს ტყიდან დამზადებული ლიანდაგის „ტრავერზები" და შეშა;

ბ) შეამციროს მივლინების ხარჯები;

გ) მეტი სისწორით აწარმოოს ინვენტარის აღრიცხვა.

დ) თვითონ აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები.

მდ. ფიჩორის გაწმენდის საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად მოწვეულია საქ. მ | გ. ინსპექციის მიერ თათბირი მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის, სატყეო ტრესტის და ა | კ. ნავთ-სადგურთა განყოფილების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ახალგაზრდათა კომუნისტური [illegible]

თბილისის კომკავშირის [illegible] უჯრედში

სწორედ 1922 წ. 9 იანვარს დაარსდა ეს უჯრედი, რომელიც ამ ჟამად აერთიანებს დაახლოებით 45—50 წევრებს და კანდიდატებს. უჯრედს ჩვეულებრივად ხელმძღვანელობს იაჩეიკის მიერ არჩეული ბიურო ხუთი კაცისგან შემდგარი.

უნდა ითქვას, რომ უჯრედის ყველა წევრები და კანდიდატები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. კრებები თითქმის სისტემატიურად იმართება და ყველანი ესწრებიან გამოუკლებლივ.

ამასთანავე უჯრედს გამოყოფილი ყავს პროფკოლექტივის კადრი 8 კაცის შემადგენლობით, სადაც იკითხება მოხსენებები სხვადასხვა საკითხების შესახებ. ხოლო უჯრედის მორიგ სხდომებზე პროფკოლექტივის წევრების მიერ რიგ-რიგობით იკითხება იგივე მოხსენებები გადამუშავებული სახით, რის გარშემო იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

უჯრედი უშვებს აგრეთვე რაიონული მასშტაბით კედლის გაზეთს „ნორჩი კომუნისტს", სადაც მონაწილეობას ღებულობენ უჯრედის ყველა წევრები. ამ გაზეთის ერ მიზანს შეადგენს ჩვენი უჯ ცხოვრების აღწერას და ამას ამხანაგების დახასიათებას რო დადებითი, ისე მისი უარყ მხარეებით. ამან გამოიღო ნაყოფიც: უჯრედს ეტყობა ყ მხრივი გამოცხოველება და გებსაც დაეტყო გამოსწორება.

ჩვენი უჯრედის წევრები დი ლისით ეკიდებიან და პირნათლ ასრულებენ პარტიის მიერ და ბულ საქმეებს.

უჯრედის პ. | მგ. მდივნ ალახვერდოვის მიერ ერთ-ერთ ს მაზედ შემოტანილი იქნა წინად ბა, რომ უჯრედმა შეიძინოს ს და წითელი დროშა, სადაც გ ტული იქნება 1905 წ. ლენინგ მომხდარი მუშების აწიოკებ ჟლეტა. კრების მიერ ერთხმად მიღებული ეს წინადადება მხრივ გადაიდგა კიდევ სათ ნაბიჯებიც.

ნოლისპირე

კომკავშირის მუშაობა დ. ხობში

(ზუგდიდის მაზრა)

დ. ხობის რაიონში არსებული ახ. კომკავშირის ორგანიზაცია აერთიანებს შვიდ უჯრედს 150-მდე წევრკანდიდატებით, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი.

ხობის ორგანიზაციის წევრები პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. განსაკუთრებით დიდი გმირობა გამოიჩინა ჩვენმა კავშირმა მენშევიკურ-ბანდიტური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მხოლოდ საჭირო არის უფრო მეტი ყურადღება მიექცეს კავშირის წევრთა პოლიტ-მომზადებას. დღემდის ორგანიზაციას ყავდა სათანადო ხელმძღვანელები მოწაფეებიდან, მაგრამ ამ ჟამად ისინი დაფანტულნი არიან სხვადასხვა ქალაქებში სწავლის გასაძრიელებლად. ახლა დიდი ენერგიული მუშაობა მართებს ხობის რაიკომის პ | მ. მდივანს, ნორმალურად იქნას დაყენებული მხრივ საქმე. რაც შეეხება ხობის ნის ახალ. კ. კ. კავშირის ურთიერ მოკიდებულებას პარტ-იაჩეიკას მჭიდროა. მხოლოდ დიდ დაბრკ ბას ქმნის პარტიის რაიკომის ნის უყოლობა. პარტიის კომუჯ წევრთა რაოდენობა ცხრამეტ წევს. ბევრია მსურველი მშრ გლეხობიდან პარტიაში შესვ ლად და იქ აქტიური მუშაობის წარმოებლად მაგრამ, პარტიის კომის პ | მ. მდივნის უყოლ მო საქმე ფერხდება და გლეხობა ახერხებს პარტიულ მუშაობაში მას. დიდი ნაბიჯი იქნება წინ, ტიის რაიკომის მდივნის დანი ხობში, რომელიც გაუწევს ჯერ ხელმძღვანელობას ხსენებულ რაი

სანდრო ლაგვილავ

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდ

სპარტაკი ზუგდიდში

სპარტაკის ორგანიზაცია ზუგდიდში ახლად დაარსებულია. მიუხედავად ამისა, მან მაინც დიდი კულტურული როლი ითამაშა ბავშვთა აღზრდა-განვითარების საქმეში.

შექმნილია 6 კოლექტივი, რომელიც აერთიანებს 325 ბავშვს 7 წლიდან 18-დე. არსებობს აგრეთვე სამი ფეხბურთელთა ჯგუფი. ორგანიზაცია ნივთიერ უსახსრობას გ ცდის. საჭიროთ სათანადო ორგ ებმა მიაქციონ ყურადღება ამ მოებას და აღმოუჩინონ მას რიალური დახმარება.

ზუგდიდის ბ. კ. ორგ. მიერ გრად იქნა ჩატარებული ბავ კვირეული. საერთოდ ბავშვები ხალისს და გულმოდგინებას მუშაობაში.

მენშევიკური ავანტიურის მსხვერპლის ხსოვნ

ამხ. ლადო ქორჩილავა

ა | წ. 29 აგვისტოს აბაშის კომუნისტურ ორგანიზაციას ემსხვერპლა ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი ამხ. ლადო ქორჩილავა.

სამი წლის განმავლობაში ამხ. ლადო ქორჩილავა მსახურობდა რაიონული მილიციის უფროსად. უკანასკნელად კი იყო მარნის ხე-ტყის ქარხნის გამგის თანაშემწედ.



ამხ. ქორჩილავა

მაგრამ მენშევიკურ-თავად-აზნაურულმა გამოსვლამ ამხ. ლადო შეაიარაღა. ის გაავთრებული აღტაცებით იბრძოდა ბანდების წინააღ მდ. ტეხურის პირას კიდევაც გმ ლად დაეცა ბრძოლის ველზედ.

როდესაც გაიგეს თუ არა ამ კომუნარებმა ახლოს სენაკში ბანდ შემოსვლის შესახებ, ყველას აღ სურვილი სამაზრო ცენტრის გ თავისუფლებლად. და აი აქ ამხ. დი პირველი იყო.

ის მედგრად გაიძახოდა: „აბა ძმებო, დავცხოთ მაგ ყაჩაღებს, მზადებსო". და მართლაც ამხ. დის სხვა პარტამხანაგებთან ერ კიდევაც მოუხდა იქ ბანდების ალმდეგ ორჯერ სასტიკი ბრძოლ

ამხ. ლადი ქორჩილავა ამხანაგ ღირსეულად დაასაფლავეს და ა ხანში მის საფლავზედ აღიმართ შრომის ძეგლი!

აბაშის ორგანიზაციამ ამხ. ლ სახით დაჰკარგა ერთი საუკ რევოლიუციონერი მებრძოლი... ამხანაგები არასდროს არ დაი ბენ.

გახკ

ჩვენი ფოსტა

ვთხოვთ ჩვენი გაზეთის პარტკორების კომისიის ქვემო ჩამოთვ წევრებს გამოცხადდენ შაბათს, საღამოს 5 საათზე გაზ. „კომუნისტ რედაქციაში: საღირაშვილი ნინო, ფარსიმაშვილი მიხეილ, მიქელაძე წამალაძე და მაჰავარიანი ერასტი.

პროლეტარულ სტუდენტთა შორი

პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს 7 ოქტომბრის სხდომაზე განხილული და დამტკიცებული იქნა ბიუროს ბალანსი. დამტკიცებული იქნა შესწორებებით აგრეთვე აღმასრულებელ ბიუროების ხარჯთაღრიცხვა. ბიუროს წევრს ამხ. სტეფანოვს დაევალა ხარჯთაღრიცხვის გატარება საბჭოს საშუალებით განათლების სახალხო კომისარიატში.

— ბიურომ მოისმინა მოხსენება სტიპენდიების მოსპობის შესახებ და დაადგინა: ვინაიდან სამეურნეო ორგანოების სტიპენდიები არ არის მედო და ყოველდღე მოსალოდნე მათ მიერ სტიპენდიების შეწყვ როგორც ეს მოხდა მოხალისე ფლ ში, ს. მ. უ. საბჭოში და ტრეს ამიტომ სექტემბრიდან ყველა მ ბული სტიპენდიები, გარდა აღმასკომისა და წითელი ჯარ გადაცემული იქნეს სტუდენტთა ხმარე ფონდში, საიდანაც სტუ ტებს გაეწევა ერთდროული დ რება.

რკინის გზებზე

შტატის შემოკლება რკინის გზებზე

1 ნოემბრიდან კავკასიის რკინის გზებზე რკინის გზათა სამმართველოს მიერ დაიწყება შტატის შემოკლება და ნაცვლად შემოღებული იქნება მტკიცე შტატი.

ნავთის გადაზიდვა

ნავთის სინდიკატის შუამდგომლობის თანახმად ა.-კ. რკინისგზათა სამმართველოს განზრახვა აქვს ნოემბერში გადაზიდოს 5 ნახ. მილ. ფუთ ნავთზე მეტი.

მატარებლის გადაცდენა.

16 ოქტ. სადგურ ხარაგოულთან მიახლოებისას მატარებელი გადასცდა ლიანდაგს. უბედური შემთხვევა არ ყოფილა. ძიება სწარმოებს.

ლიბანის სანატორიუმი

რკინის გზის დამზღვევ კასის ფუდით შეიძლება წლის ბოლოს ზღვევითი ფონდს გადახდეს 5, მან, რომელიც მოხმარდება ლიბ სანატორიუმის მოწყობას.

სრ. საქ. პროფკავშირთა ურიდ მისათვის.

ტფ. საუბნო პროფკავშირმა გა სწყვიტა მოიწვიოს ტფ. რკ. ყველა წარმოება-დაწესებულები სადელეგატო წინასწარი თათბ სრ. საქ. პროფკავშირთა მეოთხე ყ ლობის გამო.

„წითელი გზა"

გზათა კულტკომისიამ მუშა-მო სახურეთა კულტმუშაობაში ჩაბ მიზნით გადასწყვიტა გამოსცეს დღის გაზეთი „წითელი გზა".

ყრილობები და კონფერენციები

რემედასს-ის კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე რუსთველის თეატრში გაიხსნა რემედასსის საქართველოს განყოფილების პირველი კონფერენცია. სხდომა გახსნა რემედასსის პრეზიდიუმის თამჯდომარემ ამხ. კვირიკაძემ, რომელმაც მოკლე სიტყვით აღნიშნა რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოების უდიდესი მორალური მნიშვნელობა. ამხ. კვირიკაძის წინადადებით კონფერენცია ფეხზე ადგომით პატივს სცემს რევოლიუციისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნას.

პრეზიდიუმის არჩევა

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ალ. გეგეჭკორი, არ. კვირიკაძე, პ. რუხაძე, მარიამ ესსენი, ხახანოვი, პოპოვი, მუშიშვილი, ა. კოსტანიანი, ჯაიანი, ჯიჯაძე, ჭანკვეტაძე, გალუა, მამფორია, მოსიაშვილი, მესროპოვი, ჩაპნიევი და ოლია პაპავა.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულნი არიან: ამხ. ამხ. ზინოვიევი, ტროცკი, სტალინი, კრამაროვი, ლეპშინსკი, მარტი, ერიხ მიუზანი, ყაზაკჩევი, კირკოვა, მახარაძე, ორჯონიკიძე, ვანო სტურუა, მამია ორახელაშვილი, ტიომკინი, კახიანი და რუბენი.

მისალმებანი

პირველ მისასალმებელ სიტყვას ამბობს კონფერენციისათვის მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსული „რემედასსის“ ალმასკომის წევრი ამხ. კრამაროვი, რომელსაც კონფერენცია ხანგრძლივი მქუხარე ტაშის ცემით ეგებება.

„ამ აღფრთოვანებულ შეხვედრას ამბობს ამხ. რამაროვი, მე ვთვლი რა პირადათ ჩემს დამსახურებად, არამედ იგი მიმართულია იმ მებრძოლთადმი, რომელნიც იღწვიან და იტანჯებიან რევოლიუციისთვის. ამხ. კრამაროვი ესალმება რა საქართველოს რემედასსის კონფერენციას, ეხება იმ პრინციპებს, რომელზედაც აგებულია რემედასსის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ეყრდნობა მუშათა მასსების თვითმოქმედებას და წარმოადგენს არა იმდენად საქველმოქმედო დაწესებულებას რამდენად რევოლიუციონერთა გამამხნევებელ დიდ მორალურ საზოგადოებას „არ არის უფრო დიდი საქმე, როგორც რევოლიუციის ზურგის გამაგრება“ უნდა გვახსოვდეს მუდამ, ამბობს ამხ. ზინოვიევის ეს სიტყვები და არ უნდა შეგვაშინოს იმ შეცდომებმა, რომელიც აქვს ჩვენს ორგანიზაციას და რომელიც თან სდევს ყოველ ახალ საქმეს, დიდი იდეით გატაცებულნი და გამხნევებულნი,—ჩვენ შევასრულებთ ჩვენს ამოცანებს და დავაახლოებთ პროლეტარიატის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში. (მქუხარე ტაში და ინტერნაციონალი).

საქართველოს ცაკის, სახ. კომ. საბჭოს და კომპარტიის ცეკას სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ვანო სტურუა, რომელსაც კონფერენცია ოვაციებს უმართავს. სხვათა შორის ის ამბობს შემდეგს: ამ დიდ ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა ციმბირის ტუნდრებში, სადაც ათი-ათასობით გადასახლებულნი პოლიტიკური კატორღელნი ღებულობდნენ მშრომელთა დახმარებას, რომელიც ამხნევებდა მებრძოლთ და ახალ ენერგიას ჰმატებდა შეუპოვარ ბრძოლის გასამაგრებლად. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა, რომელთაც არ ჰყავთ პოლიტიკური დამნაშავენი, მთელი თავისი ყურადღების ცენტრი უნდა გადაიტანონ ბურჟუაზიულ საპატიმროებში გამომწყვდეულ მებრძოლთა დახმარებაზე, გაამხნეონ კომუნიზმისთვის თავდადებულნი, და მორალური გამხნევებით შეჰმატონ ახალი ძალა ბრძოლის გასაგრძელებლად.

პიონერ ბავშვების სახით, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ „რემედასის“ საქმიანობაში, კონფერენციას ესალმებიან ბავშვები ყაზაროვის ქალი და მუხაძე, ახალგაზრდებს კონფერენცია დიდი აღფრთოვანებით ხვდება.

განათლების მუშაკთა სახელით კონფერენციას ესალმება ამხ. ლ. რუხაძე, მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ ყოფილ პოლიტკატორღელთა სახელით ამხ. არ. რუხაძე, წითელი ჯვრისა და პროლეტარული სტუდენტობის სახელით ამხ. გალ. ნუცუბიძე, თბილისის საბჭოს სახელით ამხ. იარამაშვილი, მთავარ სახელოსნოების სახელით ამხ. გოლდფინაევი და ზაქსი.

რემედასს-ის ალმასკომის მოქმედება

(მომხსენებელი ამხ. კრამაროვი)

მომხსენებელი ახასიათებს რა თანამედროვე ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ რეჟიმს, ვრცლად აღნიშნავს თეთრი ტერორის სხვადასხვა ფორმებს, და დევნილ კომუნისტ და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მდგომარეობას როგორც ევროპის კონტინენტზე, ისე კოლონიებში. განსაკუთრებით მძიმეა პოლიტიკური მდგომარეობა საბჭოთა კავშირის მეზობლად მდებარე ქვეყნებში; სადაც მძვინვარებს რეაქცია.

ევროპის და კოლონიების ბურჟუაზიულ საპატიმროებში ირიცხება სულ 100 ათასი პატიმარი. ამ რიცხვიდან ნახევარს შეადგენენ კოლონიელნი. გერმანიაში კომუნისტ-პატიმართა რიცხვი აღწევს—7—8 ათასს, იტალიაში—5 ათასს, ბოლგარეთში—4.000, პოლონეთში—4000, ესპანიაში—3,000. ფინეთში—1200, უნგრეთში—800. იავაზე—800, გარდა ამისა ათეული ათასები ფერად კანიან პატიმართა იტანჯებიან ინდოეთის, აფრიკის და სხვა კოლონიების ციხეებში. სწორედ ამ მებრძოლთა დასახმარებლად დაარსდა რემედასს-ი ყოფილ პოლიტკატორღელთა საზ-ბის და „ძველი ბოლშევიკების საზ-ის“ თაოსნობით.

ამ ჟამად საბჭოთა კავშირში რემედასს ჰყავს 3.200.000 წევრი.

დაარსების დღიდან რემედასს-მა შეაგროვა სულ 1.500.000 მანეთი. ამ თანხიდან 1.200.000 მან. გაეგზავნა ბურჟუაზიულ საპყრობილეებში დაპატიმრებულთ. დანარჩენი 300 ათასი მან. გადაირიცხა „რემედასს“-ს სარეზერვო ფონდში, რომელიც დანიშნულია შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა გაძლიერებულ იქნება რეაქციის მძვინვარება და თეთრი ტერორი. რემედასსის ორგანიზაციული ხარჯები არ აღემატება მთელი თანხის 3 პროც.

რემედასს-ის ყველაზე მეტად ძლიერი სექცია არის საბჭოთა კავშირში სადაც ითვლება 89 საგუბერნიო განყოფილება, საბჭოთა კავშირის გარეთ რემედასს აქვს თავისი სექციები გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, ესპანეთში ლატვიაში, ბოლგარეთში, ეგვიპტეში, მექსიკაში. სექციები საზღვარგარეთ არალეგალურ ან ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში არიან, რაც მოქმედობს მათ მუშაობაზე, მათ არ შეუძლიანთ დააკმაყოფილონ თავის საშვალებებით თავიანთი პატიმარნი, რომელთა დახმარებას 90 პროც. კისრულობს საბჭ. კავშირის რემედასსი. რემედასსის მუშაობა არ განისაზღვრება მხოლოდ ნივთიერი დახმარებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მორალურათ დახმარებას. დაპატიმრებულ მებრძოლთ უნდა უჩვენოთ, რომ ისინი მივიწყებულნი არ არიან, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, აღმართულ ზღუდეების მიუხედავად, მათთან არის და მათზე ზრუნავს. ეს გაამხნევებს მათ, გაუსაკეცებს რწმენას და შეუმსუბუქებს გაწამებულ ცხოვრებას საპატიმროებში.

ეს მორალური დახმარება ყველაზე ცხოველ გამოხატულებას ჰპოვებს კაპიტალის პატიმრებზე შეფობის მიღებაში, რომელიც უკვე გატარებულია რემედასის 40 განყოფილების მიერ.

მეორე სხდომა

16 ოქტომბერი

დილის სხდომაზე ამხ. კამაროვი უპასუხებს მიცემულ კითხვებზე, რის შემდეგაც კონფერენცია ადგენს გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშა ცენ. ალმასკომს.

„რემედასს“-ის საქართვ. განყოფილების ანგარიში

(მომხსენებელი ამხ. კვირიკაძე)

მომხსენებელი იძლევა ცნობას, რომ რემედასს-ის საქართველოს განყოფილება აერთიანებს 25 ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელშიაც ირიცხება დაახლოებით 30 ათასი წევრი. ნახევარს ამ რიცხვისას შეადგენენ ტფილისის ორგანიზაციის წევრები, გარდა ამისა სამხედრო ნაწილებში ითვლება 4—5 ათასამდე წევრი. საშუალებას საზოგადოება აგროვებდა საწევრო ვადასახადების შეგროვებით, ნებაყოფლობითი შეწირულებებით, საწევრო ქვიტონების და რემედასის ჟურნალის გაყიდვას საშუალებით. გარდა ამისა რემედასს-ის სალაროს გასაძლიერებლად, გამოშვებულ იქნა ლექსების კრებულები და რევოლ. შინაარსის ბროშურები სულ 80.000 მან. ღირებულებისა. გამოცემული წიგნები ვრცელდებოდა მაზრებში და გარდა იმისა, რომ შემოჰქონდა შემოსავალი, ხელს უწყობდა რემედასს-ის იდეის პოპულიარიზაციას მუშათა ფართე მასებში.

1924 წლის განმავლობაში რემედასს-ის სალაროში დაგროვდა ფულად—68,400 მანეთი, რომელიც დანიშნულებისამებრ იგზავნებოდა რემედასსის ცენტრალურ ალმასკომში.

მომხსენებელი აღნიშნავს რა ახ. კომ. კავშირის სუსტ მონაწილეობას რემედასს-ის მუშაობაში, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადგილებზე მუშაობა დაიწყვს ახლო წარსულში და მიღებული შედეგები მოწმობენ ორგანიზაციათა სრულ წარმატებას. დასასრულ მომხსენებელი გამოსთქვამს რწმენას, რომ არსებული ნაკლი გამოსწორებული იქნება და რემედასსი განმტკიცდება, როგორც იდეურად, ისე რაოდენობით და ფინანსიურად.

სრულიად საქართველოს იუსტიციის მუშაკთა ყრილობა

გუშინ, 16 ოქტომბერს ალმ. საქ. ოლქის სასამართლოს დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს იუსტიციის მუშაკთა პირველი ყრილობა.

მისალმებანი

ყრილობას მიესალმენ მეზობელი და ავტონომიურ რესპუბლიკების წარმომადგენლები. თავის მხრივ ყრილობამ გაუგზავნა მისალმების დეპეშები სრულიად კავშირის იუსტიციის პასუხისმგებელ მუშაკებს: ს. ს. რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს ამხ. ვინოკუროვს, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარს ამხ. კურსკის, მის მოადგილეს ამხ. კრილენკოს და რუსეთის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს ამხ. სტუჩკას.

პრეზიდიუმის და კომისიების არჩევანი

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: საპატიო წევრნი—ვინოკუროვი, კურსკი, კრილენკო, სტუჩკა, ცხაკაია, ორჯონიკიძე, მახარაძე, ორახელაშვილი. წევრებათ: ამხ. ამხ. ვარძიელი, თუმანოვი, ვარდანია, ბზიავა, გადიევი, წიწივაძე, კარტოზია, კაპარავა, ტატიშვილი, ურუშაძე, გაბუნია, ლაკრეიშვილი, ზუკაკოვი, ფხაკაძე, თოლორდავა.

სამანდატო კომისია: ამხ. ამხ. ცინცაძე, დევდარიანი და გოთვაძე.

სარედაქციო კომისია: ამხ. ამხ. რონინიშვილი, ტერ-არუთინოვი, კარტოზია, ვარძიელი და თუმანოვი.

მოხსენებები

პირველ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ მამია ორახელაშვილის მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ და ამხ. ვარძიელის ვრცელი მოხსენება საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაობისა და სასამართლო ორგანოების მდგომარეობის შესახებ. ამხ. ვარძიელის მოხსენება გაგრძელდება შემდეგ სხდომაზე, რომელიც დანიშნულია 16 ოქტომბრის საღამოს 6 საათისათვის.

განათლების მუშაკთა კონფერენცია

ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 ნახ. საათზე, განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა განათლების მუშაკთა კავშირის რაიონული ადგილკომების კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ დაწესებულებების დელეგატებიც.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება *)

მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი:

იერიშები საბჭოთა კავშირზე.

ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა,—ამბობს ორატორი,—წარმოადგენს ინგლის-ამერიკის კაპიტალის შეუწყვეტელ ცდას დაამხოს საბჭოთა კავშირი, მაგრამ ვინაიდან შეიარაღებული ძალით, ინტერვენციით ამის მოხდენა შეუძლებელია, რაშიაც ევროპის ბურჟუაზია უკვე დარწმუნდა, ამიტომ ის მიმართავს ახალ საშუალებას.

ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის ახალი საშუალება

ეს არის ჩვენდამი მეგობრულათ განწყობილ სახელმწიფოებში არევდარევის შეტანა. ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია ხელს უწყობს ჩინეთში სამოქალაქო ომის გაჩაღებას, ის ერევა ჩინეთის საქმეებში, ამავე დროს სცდილობს არევ-დარევა შეიტანოს ავღანისტახში, სპარსეთში, ოსმალეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. მთელ ამ ბრძოლას და ყველა იმ აგრესიულ აქტებს, რომლებიც მიმართულია აღმოსავლეთის ქვეყნების რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ, საფუძვლათ უდევს ერთი მიზანი: შესუსტებული იქნეს საბჭოთა ხელისუფლება და მისი გავლენა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ვინ იყო მენშევიკური ავანტიურის სულისჩამდგმელი

მენშევიკური ავანტიურაც ევროპის ბურჟუაზიის კარნახით მოხდა. აქ მოხდა ის, რასაც ჩვენ ვხედავთ სპარსეთში, ოსმალეთში და ჩინეთში.

საქართველოში ორი ძალა ეჯახება ერთმანეთს; იმპერიალისტები და პროლეტარული რევოლიუცია, რადგან საქართველოდან პირდაპირი გზაა ბაქოს ნავთისაკენ. მაგრამ მენშევიკებს ნახტომი წაუხდათ. ისინი ისევე სამარცხვინოთ დამარცხდნენ, როგორც არა ერთხელ დამარცხებულან თეთრგვარდიელთა და შავრაზმელთა სხვა მრავალი პარტიები და ჯგუფები.

მენშევიკების მორიგი პროვოკაცია

უკანასკნელი ავანტიურის დროს ასე სამარცხვინოთ დამარცხებული მენშევიზმი ეხლა სცდილობს ბრძოლის სხვაგვარ ხერხს მიმართოს: ის პროვოკაციას სთესავს თავის გარშემო და სცდილობს ეროვნული შუღლი ჩამოაგდოს ქართველებსა და სომხებს შორის. მენშევიკები ავრცელებენ ხმებს თითქო აჯანყება პროვოკაციული მიზნით მოაწყვეს სომხებმა. რომ ისინი ხვრეტდენ ქართველებს და სხვა. ამით ისინი სცდილობენ ქართველი მშრომელი ხალხის რისხვის თავიდან აშორებას და ჩვენი ცხოვრების ნაციონალური შხამით მოწამვლას.

ამხ. ორახელაშვილი კითხულობს მენშევიკების პროკლამაციას, რომელშიაც ისინი აცხადებენ, რომ დღეს საქართველოში სომხები და რუსები ბატონობენ, მთელი დაწესებულებები სომხების ხელშია და ქართველები დაჩაგრულები არიანო. ორატორი აქვეყნებს ციფრებს, რომლიდანაც სჩანს, რომ სომხების პროცენტი ჩვენს დაწესებულებებში დიდი არ არის და ის შეეფერება სომეხთა მოსახლეობის რაოდენობას.

ინტელიგენციის მდგომარეობა

მომხსენებელმა დაახასიათა ინტელიგენციის მდგომარეობა ევროპაში და საბჭოთა კავშირში და აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მეტ ყურადღებას აქცევს ინტელიგენციას, ვიდრე ევროპის ბურჟუაზია.

საქართველოს პირობებში შეუძლებელია მთელი ინტელიგენციის გამოყენება; ჩვენი მწარმოებელი ძალები არ იძლევა ამის საშუალებას, ამიტომ უმუშევრობას აქ ადგილი უნდა ჰქონდეს.

მასწავლებლობის ამოცანები.

ჩვენი და მასწავლებლობის ძირითადი ამოცანაა—ბრძოლა შოვინიზმის წინააღმდეგ; შოვინიზმი მეტად შხამიანი სენია და მას შეუძლია ძირი გამოუთხაროს იმ ძმურ ურთიერთობას, რომელიც დამყარებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ერებს შორის. მასწავლებლობამ უნდა იბრძოლოს იმ პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელიც ვრცელდება ინტელიგენციის წრეებში ამას გარდა მასწავლებლობა უნდა ჩაებას მუშურ-გლეხურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კოოპერაციის, გლეხკომების და სხვა საბჭოთა ორგანოების მუშაობაში.

მოხსენების შემდეგ სხდომა გადაიდო მეორე დღისათვის.

---

*) ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების სტენოგრაფიულ ანგარიშს მოვათავსებთ.

საქართ. ფეიქართა მეოთხე ყრილობა

16 ოქტომბრის დილის სხდომა

ყრილობამ მოისმინა ფეიქართა კავშირის ცენტრალურ გამგეობის პასუხისმგებელი მდივანის ამხ. მატინიანის მოხსენება ცენტ. გამგეობის მუშაობის შესახებ.

საორგანიზაციო მუშაობა.

ამხ. მატინიანი აღნიშნავს, რომ ფეიქართა კავშირს ამ ჟამათ თბილისში ჰყავს 4 ადგილკომი, პროვინციაში კი—ერთი ადგილკომი და ერთი პროფრწმუნებული.

ქალაქის მასშტაბით კავშირი აერთიანებს 359 მუშას და 119 მოსამსახურეს, სულ 478 კაცს, რომელთაგან 374 კავშირის წევრია. მაზრებში კი კავშირში ირიცხება 159 მუშა და 4 მოსამსახურე. მთელს საქართველოში კი კავშირი აერთიანებს 682 მუშას და 123 მოსამსახურეს, სულ 805 კაცს.

თბილისის მასშტაბით კავშირში ირიცხება 87 ქართველი, 140 რუსი და 186 სომეხი, პროვინციაში კი 1 სომეხი, 1 რუსი, დანარჩენი ყველა ქართველებია.

ქალთა შორის მუშაობა.

ქალები შეადგენენ კავშირის ყველა წევრების 60 პროც. მუშაობა ქალთა შორის თავიდანვე სუსტათ მიმდინარეობდა. კავშირის ცენტ. გამგეობა სცდილობდა ქალების ჩაბმას საკავშირო მუშაობაში, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა ვერ იყო სათანადოთ დაყენებული.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის.

ეს მუშაობა მესამე ყრილობამდი სუსტათ მიმდინარეობდა. მუშაობის გასაცხოველებლათ მესამე ყრილობაზე არჩეული იყო ამხ. აზარაშვილი, რომელიც გულმოდგინეთ შეუდგა საქმეს. ის იწვევდა ახალგაზრდათა კრებებს, აწყობდა მათ ადგილკომებს, იწვევდა ადგილკომების სხდომებს, მართავდა მოხსენებებს და სხვა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მუშაობის დიდი ნაწილი შესრულებულია.

სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.

კავშირის მიერ გადადგმულ ნაბიჯების შემდეგ, სამეურნეო ორგანოებსა და კავშირს შორის დამყარდა მეგობრული დამოკიდებულება. თბილისში დადებულია 7 კოლექტ. ხელშეკრულება და 3 სატარიფო შეთანხმება. შედარებით წარსულ წელთან ხელფასი გადიდდა, მაგრამ ის მაინც ვერ არის საკმაო. შრომის ხელფასის შემდეგი გაუმჯობესება დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. ეხლა მუშები საშუალოთ იღებენ 29 მან. 88 კ.

კულტგანმანათლებელი მუშაობა.

პირველ ხანებში ეს მუშაობა მოიკოჭლებდა, მაგრამ ფონდის გადიდების შემდეგ ცენტრ. გამგეობა ენერგიულათ შეუდგა საქმეს. კავშირს თავისი კლუბი არ აქვს, რასაც ხელს უშლის კავშირის წარმოებების დაქსაქსულობა. კავშირის მუშები მიმაგრებული არიან ტყავის ტრესტის კლუბთან. არსებობს ფიზკულტურის წრე, პოლიტიკური წრეები, ბიბლიოთეკა და პირველი საფეხურის სკოლა იმ მუშებისათვის, რომლებიც მუშფაკზე შესასვლელათ ემზადებიან. წელს მუშფაკზე გაიგზავნა 7 კაცი. ამას გარდა ცენტრ. გამგეობამ მოაწყო რამოდენიმე ექსკურსია კოჯორში, ბათომში, ალავერდში და სხვაგან. საერთოდ კულტურულ მუშაობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და ცენტ. გამგ. იმედი აქვს, რომ მომავალში საკავშირო მუშაობის ეს დარგი კიდევ უფრო გაცხოველდება.

სამეურნეო დარგში მომუშავე კომუნისტების თათბირი

შაბათს, 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ცენტრალური პარტიული კლუბის შენობაში დანიშნულია

სამეურნეო დარგში მომუშავე კომუნისტების თათბირი

პარტიული დისციპლინის ძალით სავალდებულოა ყველა წითელ დირექტორების, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლების (კომუნისტების) დასწრება.

დღის წესრიგი:

1) თბილისის კომიტეტის განცხადება, 2) საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ცნობა.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა ყრილობა

პირველი სხდომა

ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში გაიხსნა სრულიად საქ. კომუნ. მეურნეობის მუშაკთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო სამოცზე მეტი დელეგატი.

სხდომის გახსნა

კრებას ხსნის ამხ. სერგეევი.

ა. სერგეევის წინადადებით მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით პატივს სცემს რევოლიუციის უდიდეს ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნას.

შემდეგ ესევე პატივსა სცემს რევოლიუციაში დაღუპულ კომუნალურ მუშაკთა ხსოვნას.

პრეზიდიუმის არჩევა

კომპარტიის სახელით წარმოდგენილია სია პრეზიდიუმის, სამდივნოსი და სამანდატო კომისიის წევრებისა. ყველა მიღებულია.

საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულია: ამხ. ამხ. ცხაკაია, ორჯონიკიძე, ტომსკი, კრუპსკაია, რიკოვი, ლოზოვსკი, ტროცკი, იტრიევი, ივანოვ-კავკასიელი და ყურულაშვილი.

მისალმებები

ყრილობას პირველათ ესალმება პროფ. საბჭოს სახელით ამხ. ჭელიძე.

შემდეგ საკავშირო კომ. მეურნეობის ცეკას სახელით მისასალმებელ ვრცელ სიტყვას ამბობს ამხ. კარტაშევი.

მჭერმეტყველურ შედარებებს ახდენს ხანგრძლივ, მაგრამ უარაქათო ევროპიულ კომ. მეურნეობასა და ხანმოკლე, მაგრამ ენერგიითა და შემოქმედებით აღსავსე საბჭოთა კომ. მეურნეობის შორის.

აღწერს კომ. მეურნეობის საერთო გაუმჯობესებებს—თვით მშვიდობიან დროის პირობებთან შედარებით.

ამხ. კარტაშევის რჩევით სახელმძღვანელო აზრათ უნდა გავიხადოთ ჩვენი კომ. მეურნეობის აყვავება—შრომის ნაყოფიერების გაზრდით—უცხო კაპიტალის დაუხმარებლათ.

საჩუქარი.

ყრილობის სახელით ამხ. სერგეევმა ცეკას ძღვნათ მიართვა ლენინის სურათი საშუალო ზომისა. ეს სურათი ხელოვნების თავისებური შედევრია. იგი თმებიდან მოუქსოვია უბრალო პარიკმახერს და შორიდან ნამდვილ ფერებით დახატულსა ჰგავს.

თბილისის საბჭოს სახელით ესალმება ამხ. მესხი.

ამხ. კახიანის სიტყვა.

შემდეგ ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის სახელით გამოდის ამხ. კახიანი. მთელი დარბაზი ტაშის ცემით ეგებება.

იგი აღნიშნავს პოლიტიკურ და ეკონომიურ უმთავრეს პირობებს, რომელშიაც [illegible] და უხდება მუშაობა ჩვენს [illegible] გაზრდა კომ. მეურნეობას.

კომუნალური მუშაკნი იბრძვიან ოქტომბრის რევოლიუციით მონაპოვარ პოზიციების გასამაგრებლათ. ჩვენში ბევრი მენშევიკური და შოვინისტური ნაშთია დარჩენილი. მუშათა კლასმა დიდი ენერგიით უნდა იბრძოლოს მათ აღმოსაფხვრელად.

ახდენს შედარებას მენშევიკურ და საბჭოთა ხელისუფლების ხანისას და აღნიშნავს, თუ რა მუშაობაა შესრულებული ჩვენი პროლეტარიატის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სოფელშიაც რადიკალურათ არის გადაწყვეტილი მიწის საკითხი, რომელიც სავსებით გადაეცა მშრომელ გლეხკაცობას. ეროვნული საკითხიც, რომელიც ყველაზე რთულ საგანს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ცხოვრების პირობებში, ჩვენ მიერ საუკეთესოდ არის მოკვარებული და მტრობის მაგიერ ძმობაა დამყარებული ყველა ერებს შორის.

მხოლოდ ამ მთავარი საკითხების საუკეთესოდ დაძლევით ჩვენ გვეძლევა ნამდვილი საშუალება ვიაროთ უფრო წინ მეტის გამარჯვებითა და აღმშენებლობით.

ყველა კომუნალურ მუშაკთა ამდროულ ამოცანას კი უნდა შეადგენდეს მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცება, რადგან ეს არის საფუძველი საბჭოთა წყობილების არსებობისა.

თბილისის კომიტეტის სახელით გამოდის ამხ. რუბენი. მთელი დარბაზი მას ესალმება ტაშის ცემით.

მისი სიტყვაც დახასიათება იყო კომუნალ. მეურნეობის წინსვლისა.

თბილისის წყალსადენის მუშათა სახელით ესალმება ამხ. ოძიაშვილი და კავშირის ცეკას საჩუქრათ მიართვა თავიანთი ხელით გაკეთებულ კომპლექტი წყალსადენზე საჭირო ყველა ხელსაწყო იარაღებისა.

კავშირის ცეკამ კიდევ მიიღო ძვირფას ძღვნათ ამხ. ლენინის რამდენიმე ბიუსტი.

იყო მრავალი მილოცვები სხვადასხვა ცენტრალურ ორგანოებიდან, დაწესებულებათაგან და პროვინციიდან.

პიონერების მილოცვა

აღსანიშნავია პატარა პიონერების მილოცვა:

რვა-ცხრა წლის ბავშვები ისეთის რიხითა და ორატორულის დახელოვნებით ლაპარაკობდენ, რომ ბევრ მოზრდილს შეხარბდებოდა მათი გამჭრიახობა და სითამამე.

ეს პირველი კრება სავსებით მოუნდა მისალმებათა მოსმენას.

მეორე დღე

(16 ოქტომბრის დილის სხდომა)

ამხ. კახიანის მოხსენება.

საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. მ. კახიანი.

მოხსენება წარმოადგენს საერთაშორისო მდგომარეობის ვრცელ მიმოხილვას. მთავარი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ინგლისის ამბებს, რადგან იქ ხდება გადამწყვეტი ბრძოლა იმის გარშემო, თუ საით იყვეს მიმართული ინგლისის მომავალი პოლიტიკა: მარჯვნივ თუ მარცხნივ.

ნათლად დაახასიათა მაკდონალდის მთავრობის მერყეობა ბურჟუაზიის და რევოლიუციონურად განწყობილ პროლეტარიატ შორის. თუ ცოტაოდენ დათმობაზე წავიდა იგი, ესეც მხოლოდ მუშათა კლასის ძალდატანებით. არც მისგან და არც წმინდა ბურჟუაზიულ მთავრობიდან ჩვენ არავითარი დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს. ჩვენ უნდა ვემყარებოდეთ ინგლისის მუშათა კლასს, სადაც უკვე ძლიერათ იჭრება კომუნისტური იდეები და თავის ნაყოფიც მოაქვს.

საფრანგეთშიაც საშინელი ორჭოფი მდგომარეობაა. მაგრამ წინააღმდეგ თავიანთი ბოროტი სურვილებისა ჩვენს მიმართ, მაინც სცდილობენ დაამყარონ ერთგვარი კავშირი ჩვენთან. ყველა იმედი გაუცრუვდათ. რჩებათ მარტო ეს ერთად ერთი გზა.

გერმანიის მდგომარეობაც სულ გამოურკვეველია. იქ ბატონდება ამერიკული კაპიტალი და ამგვარად საშინელ მონობის უღელს ადგამენ გერმანიის გაწამებულ პროლეტარიატს. ერთად ერთი ხსნა არის გერმანიის მუშათა კლასის რევოლიუციონურ ამხედრებაში საერთაშორისო მყვლეფელების წინააღმდეგ.

იტალიური მთავრობაც, მიუხედავათ თავისი ფაშისტური სულისკვეთებისა, ყოველნაირათ ცდილობს იქონიოს ჩვენთან კეთილი განწყობილება.

ბევრ პატარა სახელმწიფოებს უკვე ფაქტიური კავშირი აქვთ ჩვენთან.

ჩინეთის საქმეები ძალიან არის აწეწილი, მაგრამ ისტორია ჩვენ სასარგებლოთ მუშაობს. ჩვენ მოვიპოვეთ მორიგი დიპლომატიური გამარჯვება და მთელი მანჯურიის რკინის გზა ჩვენ დაგვიბრუნეს, რომლის ღირებულებაც უდრის ნახევარ მილიარდს.

ოსმალეთის დამოკიდებულებაც იმპერიალისტურ ინგლისთან ძალიან გამწვავებულია მოსულის საკითხის გამო.

საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვენი გამარჯვება უნდა ვეძებოთ, როგორც ამბობდა ამხ. ლენინი, ევროპის მუშათა კლასთან დაკავშირებაში და რევოლიუციონურათ მებრძოლ ერებთან დამეგობრებაში.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობაზე. აღნიშნავს ფულის კურსის განმტკიცებას, წარმოებისა და სასოფ. მეურნეობის წარმატებას, კოოპერაციისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ზრდას.

ბოლოს ეხება მენშევიკების უკანასკნელ სასოწარკვეთილ გამოსვლას და აღნიშნავს, რომ ეს იყო საუკეთესო აგიტაცია ჩვენთვის და ყველაზე დამღუპველი იარაღი თვით მენშევიკებისთვის.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები.

შემდეგ კომ. მეურ. ცეკას მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კარტაშევი.

მან დაწვრილებით გააცნო კრებას, თუ რა პრაქტიკული შედეგებია მიღწეული კომუნალურ მეურნეობის მუშაობაში. ეს იყო კომ. მეურ. ზრდისა და ნაყოფიერების საუცხოვო სურათი.

მოამბე.

მეცნიერება და ტექნიკა

კიდევ „სიკვდილის სხივების“ შესახებ

ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოკლე აწერილობა იმ მანქანის, რომელიც ინგლისელმა გრინდელ მატიუსმა გამოიგონა და რომელიც ევროპაში „სიკვდილის სხივებათ“ მონათლეს.

ახლა ჩვენ გვაქვს საშუალება უკანასკნელად მიღებული ჟურნალებიდან ჩვენს მკითხველებს მივაწოდოთ უფრო ვრცელი ცნობები ამ გამოგონების შესახებ და აგრეთვე რ. მატიუსის გამოგონების გამოცდის სურათი.

ჯერ კიდევ პირველი ცდების დროს ლაბორატორიაში გამოირკვა, რომ ამ სხივების საშუალებით შეიძლება ყუმბარების აფეთქება შორეულ მანძილზე. გამომგონებელი ამტკიცებს, რომ ასეთი დიდი აპარატის საშუალებით ის ადვილად შესძლებს აიძულოს ჰაეროპლანი დაეშვას მიწაზე. აპარატი ჰგავს პროჟექტორს. ენერგია მოდის სპეციალური ყუთიდან, რომელსაც რ. მატიუსი „საიდუმლო ყუთს“ უწოდებს. სხივების გადახრა თავისი მიმართულებიდან შეუძლებელია. ღამით ამ აპარატს შეუძლია ითამაშოს პროჟექტორის როლი. თითეული ჰაეროპლანი, რომელიც ამ სხივების მოქმედების სფეროში ვარდება, იღუპება. მგზავრები კვდებიან. აპარატს-კი ცეცხლი ეკიდება.

ამ ახალი გამოგონების საშუალებით ინგლისელებს განზრახვა აქვთ მოაწყონ თავდაცვის ზოლები, რომელსაც ვერ გადალახავს ვერც ერთი ჰაეროპლანი. ასეთი ზოლის მოწყობა დაჯდება 30.000.000 მანეთი

პირველად ეს სხივები მოქმედებდენ 19 მეტრის მანძილზე. ამ მანძილზე მოახერხეს თაგვის მოკვლა, ელექტრონის ლამპების ანთება და სხვ.

იყო შემთხვევა, როცა მატიუსის ერთ-ერთი თანამშრომელი მოხვდა ამ სხივების მოქმედების სფეროში და ის ძლივს გადაარჩინეს სიკვდილს, ეს მოხდა მაშინ, როცა აპარატი ანვითარებდა ენერგიის მხოლოდ ერთ მეათასხუთასედ ნაწილს.

სხივების მოქმედება შეიძლება მოწესრიგებული იყოს სურვილისამებრ. სხივებით შეიძლება ადამიანის ან სულ მოკვლა, ანდა გაბრუება მისი ორი ან სამი დღით.



მანქანა „სიკვდილის სხივებით“

დადგმული საბარგო ავტომობილზე. „სიკვდილის სხივებმა“ ცეცხლი წაუკიდეს ჰაეროპლანს ჰაერში.

დიდი ცეპპელინი ხუთ წუთსაც ვერ გაუძლებს „სიკვდილის სხივებს“. მისი მანქანები დაუყოვნებლივ შეაჩერებენ მუშაობას და მას ცეცხლი გაუჩნდება.

„სიკვდილის სხივების“ მთელი აპარატის მოთავსება შეიძლება ერთ საბარგო ავტომობილზე.

ამ სხივებს შეუძლია მოქმედება (ჯერჯერობით) 8 ვერსის მანძილზე მაღლა და 40 ვერსის მანძილზე დედამიწის პირზე.

(სასოფლო-მეურნეობაში ამ სხივების გამოყენებას ფიქრობენ კალიასთან ბრძოლის მიზნით).

რამდენათ მნიშვნელოვანია ეს გამოგონება ამტკიცებს ის ფაქტი, რომ საფრანგეთში დაარსდა სპეციალური სინდიკატი ამ გამოგონების შესაძენად და გამოსაყენებლად.

როცა ინგლისის მთავრობამ გაიგო, რომ ინჟ მატიუსი მიემგზავრება საფრანგეთში, მან წინადადება მისცა მატიუსს მიეღო 100,000 მანეთი და მოახდინა ახალი ცდები საჰაერო მიმოსვლის სამინისტროს წარმომადგენლების თანდასწრებით.

მატიუსმა უარყო ეს წინადადება, რადგან საფრანგეთის სინდიკატი მას მეტს პირდებოდა.

ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ხელი არ შეეშალა საფრანგეთისათვის „სიკვდილის სხივების“ შეძენაში, რადგან შეფფილდის უნივერსიტეტის პრივატდოცენტმა უოლმა აცნობა მას, რომ მან აღმოაჩინა უფრო დიდძალიანი სხივები.

მატიუსის გამოგონება ნათელჰყოფს მრავალ საიდუმლო შემთხვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპაში უკანასკნელ ხანებში.

საფრანგეთში მაგალითად მღელვარება გამოიწვია შემდეგმა ფაქტმა: საჰაერო ხაზზე საფრანგეთი-რუმინეთი სულ მცირე ხნის განმავლობაში მანქანები გაუჩერდა 8 ჰაეროპლანს, ჰაეროპლანები იძულებული გახდენ დაშვებულიყვენ მიწაზე და დაზიანდენ ერთსა და იმავე ადგილას ბავარიის ტერიტორიაზე. ზოგიერთ წრეებში ფიქრობდენ, რომ ამას ბოროტი მიზნით სჩადიან გერმანელები.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ის ახდენდა ცდებს აეროპლანების და ავტომობილების შორ მანძილზე გასაჩერებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

— **თესლეულობით დახმარება თბილისის მაზრის გლეხობას.** ქ. აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შეიძინოს დაკვრითი წესით 10,000 ფუთი სათესლე ხორბალი თბ. მაზრის გლეხობისათვის დასარიგებლად.

— **შეღავათი ინვალიდებს.** ქ. აღმასკომის დადგენილებით მიეცა 25 პროცენტები შეღავათი ინვალიდებს, მათ განკარგულებაში მყოფ დარაბებზე.

— **საკომისიო მაღაზიები.** ქ. ლომბარდს დაევალა ადმინისტრატიულ განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს სათანადო დებულება სავალდებულო ხასიათის, საკომისიო მაღაზიების გახსნა-არსებობის შესახებ.

— **ქ. ლომბარდის ძირითადი თანხა.** ქ. აღმასკომის დადგენილებით ქ. ლომბარდის ძირითადი თანხა გადიდებულ იქნა 50.000 მანეთით.

— **სათესლე მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ გლეხებს.** ა.-კ. გეგმათა სამმართველომ გადასწყვიტა მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ სიღნაღის მაზრას მისცეს თესლი—7,300 დესეტინა მიწისათვის, გორის მაზრას—4000 დესეტ. და დუშეთის მაზრას 1,700 დესეტინისათვის, რისათვისაც გადადებულია 100 თასი ფუთი სათესლე.

— **სამკურნალო მცენარეების** 14 ოქტ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან სამეურნეო დაწესებულებების წარმომადგენელთა თათბირმა გამოყო განსაკუთრებული კომისია, საქართველოში სამკურნალო მცენარეების მეურნეობის საკითხის შესასწავლათ.

— **მიწად-მოქმედების კომისარიატმა** 12 მოწაფე აიყვანა თავის ხარჯზე, საქართველოში მოწაფეებს თვეში სტიპენდიის სახით დაუნიშნა 20—20 მან. ხოლო რუსეთში გაგზავნილებს სამეცადინოთ—35—35 მან.

— **მიწათ-მოქმედების კომისარიატის** ტეხნიკურ შემადგენლობას ოქტომბრიდან გაუდიდდათ ჯამაგირები.

— **გრეხილი ავეჯეულობის ქარხანა.** ახლო ხანში შეუდგებიან გრეხილი ავეჯეულობის ქარხნის გაფართოებას.

— **მეორე სახელმწიფო თუთუნის ქარხანამ** შეიძინა 4000 ფუთი პაპიროსის სამილე ქაღალდები.

— **არსენალისათვის** 13 ოქტომბერს შეიძინეს ახალი დინამო-მანქანა 225 ცხენის ძალიანი.

— **ჯანსახკომთან** შესდგება სპეციალური კომისია სამედიცინო საშუალო სკოლის პროგრამის შესამუშავებლათ.

— **დაზღვეულთა რაოდენობა.** წარსულ წელში მთელ საქართველოში იყო 73,599 დაზღვეული, აქედან აჭარაში—7016, აფხაზეთში—4087 სამხრეთ-ოსეთში 614 კაცი.

— **დასაზღვევი გადასახადი.** ტფ. დამზღვევ კასამ გადასწყვიტა სთხოვოს პროფკავშირთა საბჭოს და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს, მიიღონ ზომები, რათა დაწესებულებებმა თავის დროზე გადაიხადონ დასაზღვევი გადასახადი.

— **მიხა ცხაკაიას სახელობის** ფ.-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა საზამთრო კლუბი გაიხსნება 23 ოქტომბერს.

— **ტალახით მკურნალობა.** ჯან სახკომს განზრახვა აქვს ააგოს და სათანადოთ მოაწყოს ახტალის ტალახით ახალი ტიპის საექიმო ადგილობრივ.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მესამე წერილი „ქართველი მენშევიკები და ევროპის სინამდვილე“ ხელმოწერილია ჩვენი კორექტორების დაუდევრობის გამო „ა. ერქომიაშვილის“ ხელმოწერით. მკითხველი მიხვდება, რომ აქ გადამახინჯებულია ამხ. ა. ერქომაიშვილის გვარი.

შემთხვევები

— **ბანდიტის შეპყრობა.** თათრის მოედანზე შეიპყრეს ყარაიაზში მოთარეშე ბანდიტი სოიუნ კული კოლბიევი.

— **თავდასხმა.** 1 ოქტ. შეიარაღებულმა ბანდიტებმა ღრმა-ღელეს გაღმა გაძარცვეს სოფ. ერწოს გლეხები—ჩიტაშვილი და ფიტიაშვილი, წაიღეს 100 მან. ფულათ და 200 მან. ნავაჭრი.

— **შეპყრობა.** 12 ოქტ. დღით ელისაბედის ქ. № 1. ადგილობრივ შეიპყრეს გრიგოლ პელობროვი, რომელსაც უნდოდა გაექურდა სოფიო აბადარის ბინა.

— **ქურდობა.** 14 ოქტ. ქ. აღმასკომის სადარაბო სალაროსთან რიგში დგომის დროს მოქ. იაკობ სუსიშვილს მოპარეს 90 მან. ფულათ.

— ამავე დღეს ელექტრო-სადგურების სამმართველოსთან რიგში დგომის დროს ალექსანდრე ჩერნიშევს ჯიბიდან ამოაცალეს 20 მან; ქურდი იქვე შეიპყრეს, რომელიც აღმოჩნდა ალექსანდრე პეჩინინი.

— 13 ოქტ. სომხის ბაზარი № 13, მიხეილ დავლიშერიძეს სავაჭროდან მოპარეს შუბა, ღირებული 400 მან.

ხელოვნება

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი.

14 ოქტ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის რკ. გზ. მუშათა კლუბში მე-2 უბნის რკ. გზ. დამცველ რაზმის დრამ-წრემ წარმოადგინა მუშა მგოსნის ა. ბაჯიაშვილის 3 მოქ. დრამა „სიმდიდრის მსხვერპლი“. მოთამაშეები შესაფერისათ ასრულებდნენ როლებს. განსაკუთრებით კარგათ ჩატარდა უკანასკნელი მოქმედება.

კ—ო.

— **ქუთაისის თეატრი.** დამდეგ სეზონისათვის ქუთაისის თეატრში დაუკრავს ორკესტრი.

— **სახელმწიფო ოპერაში.** ვინაიდან ყველა წარმოდგენებზე მუშებს დათმობილი აქვთ 15 პროცენტი უფასო ბილეთებისა, შაბათობით სპეციალური უფასო წარმოდგენები მუშებისათვის მოხსნილია. ბილეთები ყველასათვის გაიყიდება.

მუშათა ცხოვრება

მექვაბეთა საამქროში

(რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ)

მექვაბეთა საამქროში არის ლითონის საბურღავი მანქანები, რომელზედაც მუშაობს ხან ორი და ხან სამი კაცი. მათ ხშირად უხდებათ საიარაღო საამქროში სიარული, რომ იქ ლითონის ჩარხზე გალესონ ხოლმე იარაღი. ეს გარემოება დიდ დროს ჰკარგავს ხოლმე. რა იქნება ისეთი ჩარხი, როგორც წინათ იყო, დაიდგას აქ. აღარც მუშები მოცდებიან შორს სიარულით და საქმეც უფრო დაჩქარებით გაკეთდება. ამას გარდა, ერთ-ერთი ამ მანქანათაგანი მოითხოვს შეკეთებას. დიდი ხანია მოითხოვეს მასზე მომუშავეებმა მისი შეკეთება, მაგრამ დღემდის ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა.

საწარმოო კომისიის წევრებო, საჩქაროდ მოაგვარეთ ეს საკითხი.

მუშა მექვაბე ნესტორიძე.

მოგვაქციეთ ყურადღება!

(ქალაქის აღმასკომის და „უქსის“ საყურადღებოდ)

კოოპერაციის ქ. № 12 არის სახლი, რომლის მდგმური მუშა-მოსამსახურენი განიცდიან დიდ გაჭირვებას. წვიმიან დღეს ამ სახლში არ დაიდგომება: ჩამოდის ყველა მხრიდან წვიმა, ქოლგით გვიხდება სიარული, გეგონებათ თქვენი თავი არა ოთახში, არამედ ცის ქვეშ. შუა ღამით ხდება ასეთი შემთხვევა, რომ ჭერი მდგმურებს ზედ თავზე ექცევათ. მდგმურები სთხოვენ სახლის პატრონს, რომ შეაკეთოს სახლი, მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყავს. ეს „ხაზეინი“ არის მოქ. რაულედერი. ამაზე ერთი მდგმურის მიერ იქნა შეტანილი საჩივარი უ. ქ. ს.-ის სამართველოში, მაგრამ ის ქაღალდი სადღაც დაიკარგა. საჭიროა მოგვექცეს ყურადღება და თუ რაულედერს არ უნდა სახლი, იგი გადაეცეს მდგმურებს ან თვით აღმასკომს, რომელნიც მოუვლიან მას.

ხელს აწერს 8 კაცი.

ეს ქუჩა უნდა გასუფთავდეს.

(მე-10 სამილიციო კომისარიატის საყურადღებოდ)

მუშტაიდის ბაღის გვერდით, სადაც ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბია, არის მუშტაიდის შესახვევი. ამ შესახვევზე ბევრჯელ დაწერილა, რათა ღირსებოდა მას გასუფთავება, მაგრამ ამაოდ. ამ შესახვევზე ყრია ყოველგვარი ნაგავი. არის ჭუჭყიანი და ყარს.

ვეკითხები, ვისიც საქმე ეს არის, ნუ თუ დასაშვებია ამგვარი სიბინძურე ქალაქის შუაგულში?

მუშკორი მათხოჯელი.

გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორთა ექსკურსია „კინო-პალას“-ში.

15 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორებმა დაათვალიერეს, თანახმად კინო-პალასის გამგეობის მოწვევის „კინო-პალასი“, სადაც პირველად მუშკორთა ექსკურსიამ დაათვალიერა სააპარატო ოთახი. აქ კინო-მექანიკმა ამხ. ტარასოვმა ჩვენ აგვიხსნა კინო-აპარატის ყოველივე ნაწილები და მოძრაობა. მას მუშკორებმა მისცეს რამოდენიმე შეკითხვები რაზედაც მექანიკმა ახსნა-განმარტება მისცა. კინო-აპარატის დათვალიერების შემდეგ ექსკურსანტებმა უყურეს სურათს, 10 ნაწ. „ხეფე ქალი ტახტზე“. ამ სურათმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ექსკურსანტებზე.

კარგი იქნებოდა, რომ ამ სურათს პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილება მოაწყობდეს მუშათა კლუბებში, რადგანაც სურათს რევოლიუციონური ელფერი აქვს.

საერთოდ მუშკორთა ექსკურსია სურათის ყურებით ნასიამოვნები დაიშალა.

ჩვენი მუშური მადლობა ასეთი კულტურული საქმისათვის „კინო-პალასი“-ს გამგეს ამხ. ტერენკინს და ამხ. მჭედლიშვილს.

მუშკორი კინო.

ალაგმეთ ეს ვაჟბატონი.

(მილიციის უფროსის საყურადღებოდ).

მეორე თუმანოვის ქუჩაზე სახლი № 34-ში სცხოვრობს აღმასკომის მოსამსახურე ლომიანოვი სარქისა თავის ორი ვაჟიშვილით, რომლებიც ინახავენ ეზოში ქათმებს და ისედაც ვიწრო და უჰაერო სახლის ეზოს საშინლად აბინძურებენ. ამის გამო მას მოსთხოვა მისმა მეზობელმა ფორე დულაშვილმა მას მოესპო ქათმები ეზოში. ლომიანოვმა თავის შვილებით იუკადრისა ასეთი მოთხოვნა და დაუწყო დულაშვილებს მტრობა უშვერი ლანძღვა-გინება, და განსაკუთრებით კი აწუხებს მის ცოლს. ერთხელ დულაშვილის შინ არ ყოფნის დროს მის ცოლს ღამე თავს დაეცა უცბათ მილიციონერით თითქოს ამ ქალმა ქათმები დაუხოცა. ეს ამბავი ტყუილი გამოდგა, მაგრამ ქალი კი ძალზე შეშინდა და ძუძუ შეაშრა და სამი დღე ლოგინში იწვა.

საჭიროა ამგვარ თავხედ ადამიანებს მიექცეს სათანადო ყურადღება, რომ არ აწუხებდენ უდანაშაულო ხალხს.

მუშკორი მიუდგომელი.

მუშათა მწერლობის ძვირფასი ნიმუში

მუშურ-გლეხური ხელისუფლება იმისთვის არის ძვირფასი, რომ ის იცავს და ემსახურება მუშისა და გლეხის ინტერესებს.

თუ ძველად მუშა და გლეხი სიბნელეში იხრჩობოდა, ყველასგან მასხარათ იყო აგდებული, მისი მოვალეობა მხოლოდ გამუდმებული შრომა იყო, დღეს ეს აღარ არის და მშრომელ ხალხსაც ეღირსა ნათელი დღე, მზიანი დარი.

დღეს მშრომელ ხალხს ცალ ხელში ნამგალ-ჩაქუჩი, იარაღი უჭირავს, სეორეში განათლებისა და მეცნიერების ჩირაღდანი აილო ხელში.

საქართველოს მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ უდიდესი ყურადღება მიაქცია მშრომელი ხალხის სწავლა-განათლებას და გზა გაუკაფა პროლეტარულ მწერლობას.

დღეს ყოველი მუშისთვის ფართე მოედანია გადაშლილი თუ კი ვინმე გამოიჩენს ნიჭს და უნარს პროლეტარულ ლიტერატურაში.

ამის მაგალითები უკვე სჩანს, თუ გადავავლებთ თვალს ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ მუშათა ნაწარმოებს.

სხვათა შორის, ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მუშა-მწერლებში ასოთ-ამწყობ გიგო ხეჩუაშვილს, რომელსაც მთელი საქართველოს მუშები იცნობენ, ვინც კი კითხვა იცის და ისიც კარგად ეცოდინებათ, რომ ამხ. გიგოს ტფილისში დიდის ამბით გადუხადეს მუშებმა 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე, რაც პირველი მაგალითია მუშათა მწერლობაში.

ამ მუშა-მწერლის იუბილეს დაემატა ამ დღეებში ახალი ძვირფასი საჩუქარი, რომელიც იშვიათად ეღირსება რომელიმე დიდ მწერალსაც კი.

ეს საჩუქარი არის საიუბილეო კომიტეტის გამოცემა, გ. ხეჩუაშვილის საიუბილეო წიგნის, შემდეგი სათაურით „ხახხოვარი“. წიგნში მოთავსებულია მუშა-მგოსნის სურათი, ბიოგრაფია, საიუბილეო წერილები, ლექსები, მილოცვები სხვა და სხვა დაწესებულებათაგან და მუშათა ორგანიზაციებისაგან.

აღსანიშნავია ის, რომ მთელი წიგნის მასალა ეკუთვნის მუშათა კალამს და გაჟღენთილია თბილი გრძნობით და სიყვარულით მუშა-მწერლისადმი.

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე სანიმუშოთ და მკითხველთა გასაცნობათ თვით გიგო ხეჩუაშვილის მოთხრობები, მისი თავგადასავალი, რომელიც მშვენიერი ხალხური ენით არის დაწერილი, სახალისო წასაკითხავია და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე.

მუშა პ. ახალკაცი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში.

13 ოქტომბერს მოწვეულ იქნა იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოსამსახურე ქალთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ქალთა მუშაობის და მნიშვნელობის შესახებ, 2) მოხსენება გაგზავნილ დელეგატ-ქალებისა, 3) ახალ დელეგატ-ქალთა არჩევნები.

მოხსენება გააკეთა ქალთა მუშაობის და მნიშვნელობის შესახებ ამხ. ოვიანმა, ფართოდ შეეხო სამი წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას, აღნიშნა, თუ რამდენად გაიზარდა რიცხვი დელეგატ-ქალებისა და მისი მნიშვნელობა, რამოდენიმე მაგალითების მოყვანით გააშუქა მოვალეობა დელეგატ-ქალებისა და მიუთითა ყველას მისი სისწორით ასრულებისაკენ. მოხსენებით ქალები დარჩენ კმაყოფილნი.

შემდეგ გააკეთა მოხსენება დელეგატ-ქალმა ამხ. განჯუმოვმა, რომელმაც დაწვრილებით და ცალ-ცალკე შეეხო ყოველ დელეგატ-ქალთა კრებებს და აღნიშნა მისი შედეგები, რისთვისაც აგრეთვე ქალები დარჩენ კმაყოფილნი.

ბოლოს არჩეულ იქნენ ახალი დელეგატ-ქალები.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოსამსახურე ქალების მიერ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუციად დადგენილ იქნა: ხშირად მოწვეულ იქნეს ქალთა კრებები.

ინფ. ქალი ნ. ხოხელია.

სხვა და სხვა.

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **კლუბისათვის.** თბ. საქონ. სადგურის ადგილკომმა მიმართა სადგურის ადმინისტრაციას აღმოუჩინოს ადგილკომს სხვა შენობა, ხოლო ეხლანდელ შენობაში მოთავსდეს ამავე სადგურის მუშათა კლუბი.

ჩვენი კავშირი იზრდება. ა | კ. რკ. გზ. სამმართველოს გაერთიანებულმა ადგილკომის სადელეგატო კრებამ კავშირში ჩარიცხა 14 მუშა-მოსამსახურე.

— **წარმოების ასაწევად.** ა | კ. რკ. გზ. სამმართველოს ადგილკომმა მიმართა ყველა სამსახურების დელეგატებს თვალყური ადევნონ საწარმოო თათბირის მიერ გამომუშავებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას:

ვმსახურობ მე-2 ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილებაში. მენშევიკების უკანასკნელ ავანტიურის დროს მოხალისეთ წავედი მათი ბანდების წინააღმდეგ. აქ ნათლათ დავინახე თუ ვინ გამოდიოდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ყოფილი თავადები წარმოადგენდენ გამოსვლების სულის ჩამდგმელს.

რადგან ფაქტიურათ დიდიხანია ჩამოშორებული ვარ საზოგადოების მუქთა ხორა ნაწილის ყოფილ თავადებისაგან და ამასთანავე მინდა ფორმალურათ ჩემი გვარი არ მაახლოებდეს საზოგადოების ამ წრესთან ამიტომ ამიერიდან ჩემს ძველ გვარს ვაჩნაძეს ვიცვლი ელისაბედაშვილის გვარით.

იოსებ ივანესძე ელისაბედაშვილი (ყოფ. ვაჩნაძე).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები: 1) კობახიძე ექვთიმე, 2) ოგლოდა კლავდია, 3) აღლაძე თედორე, 4) ბეგაევი ტერენტი, 5) რეზვიაკოვი ალექსანდრე, 6) დავიდენკო ვასილ, 7) ბაკლაიკინი იაკობი, 8) კარპენკო დ., 9) მენაღარიშვილი ვარლამი, 10) ხატისოვი ივანე, 11) ჟდანოვი პეტრე, 12) დანჩენკო პავლე, 13) ბოგთანოვი პეტრე, 14) აგოიანი არტემ, 15) ბერძენიშვილი იოსები, 16) ბეკერი ალექსანდრე, 17) ლუგანსკი ლეონიდე, 18) თურაზიანი ივანე, 19) მაჟნოი პეტრე, 20) სუვერნევა ზინაიდა, 21) დავიდოვი მიხეილი, 22) მუდელაიტის ანტონი, 23) ლოხოვი კონსტანტინე, 24) შამაროვა ალექსანდრა, 25) ვაჩნაძე იური, 26) სტრუჩალინი სერგი, 27) კოსტიუჩენკო ნიკოლოზ, 8) დოლიძე ბენია, 29) ოგანეზოვი მიხეილ, 30) სტეპანოვი პარმენ, 31) პატაშნიკოვა ელიზავეტა, 32) სხირელი ბიქტორ.

მოხსნილი არიან სამუშაოდან თბილისის საბჭოთა-პარტიულ სკოლაში გასაგზავნად.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები უნდა გამოცხადდენ 17 ოქტომბერს, საბჭოთა-პარტიულ სკოლაში.

მდივანი: **მაშკევიჩი.**

შაბათს, 18 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტ. საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება **სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის სხდომა,** რომელზედაც გაირჩევა ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლისათვის დღესასწაულის გადახდის საკითხი;

მოწვეულნი არიან: კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცეკას, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკას, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს კავკასიის ბიუროს და რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების წარმომადგენლები. გამოცხადება სავალდებულოა.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 18 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე მესამე რაიონის პარტ-კლუბის შენობაში შესდგება **მესამე რაიონის რაიონული კონფერენცია.**

დღის წესრიგი:

1. საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, 2. საქ. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის ანგარიში, 3. რაიკომის არჩევა და 4. დელეგატების არჩევა თბილისის საქალაქო კონფერენციისათვის.

მდივანი: **ვართაპეტიანი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და მუშფაკის ყველა სტუდენტებს, რომლებიც ითვლებიან პარტიის წევრებად ან კანდიდატებად და იმყოფებიან, როგორც ქალაქის რაიონის უჯრედების, ისე სხვა რაიონების აღრიცხვაზე, პარტიული დისციპლინის ძალით გამოცხადდენ ქალაქის რაიონის აღრიცხავ-სტატისტიკურ განყოფილებაში ერთი დღის ვადაში თავიანთ უჯრედებიდან სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და მუშფაკის უჯრედში გასაგზავნად.

პ | მდივანი: **გ. სტურუა.**

აღრიც.-სტატ საინფორმაციო განყოფილების გამგე: **იხაკოვი.**

[illegible]

დღეს, პარასკევს 18 ოქტომბ.

აიდა

შაბათს, 19 ოქტომბერს

რიგოლეტო

კვირას, 20 ოქტომბერს

პიკის ქალი

ნ. 21 1—1

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი
და საბჭოთა კავშირის
სახელმწიფო ბანკის ა.-კავკასიის საოლქო კანტორა

აცნობებენ ყველას, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ა.-კავკ.

იწყება შემდეგი სახის გადასახადების მიღება:

1) უპროცენტო სახელმწ. გადასახადის.
2) უპროცენტო სამხარ. გადასახადის.
3) „ სალეროზ გადასახადის.

აღნიშნული გადასახადები მიიღება სახელმწიფო ბანკში იმავე წესით, როგორც ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კასაში.

ნ. 20 1—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგ. აგების სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მის მიერ ა. | წ. 25 ოქტომბრისათვის

დანიშნულია

ზაჰესის მთავარი არხის პალოებზე 16—24 დატინოებების სამუშაოს ნარდათ გაცემის

შეჯიბრება

სამუშო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალებით, ხოლო მონარდის ხელსაწყოებით და მოწყობილობით, გარდა საამშენებლო სამუშაოების ჩვეულებრივ მოწყობილობისა, რომელის შეძლებისამებრ მიცემული იქნება სამუშაოთა სამმართველოს მიერ.

ყველა 8 პალოზე დატინოების სამუშაოს შესრულების ვადა არის 6-თვე, შესრულების ვადის სათანადოთ უზრუნველყოფით.

აღნიშნულ სამუშაოს სრულად ან ნაწილობრივ (არა ნაკლები 4 პალოსა) ამღებ მსურველ პირთ შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება სათანადო სალერზო მარკებით დაწესებულ თეთრი ნიმუშზე („ბლანკი“) დახურულ კონვერტში წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს—25 ოქტომბრის შეჯიბრებისათვის“, რომელ რიცხვსაც დღის 2 საათზე გახსნილი იქნება კონვერტები.

განცხადებას დართული უნდა ექნეს ზაჰესის სალაროში განცხადებულ ჯამიდან 5 პროც. რაოდენობით საწინდარის შეტანის ქვითარი.

უძრავი ქონება და სხვა ამგვარი საწინდრად არ მიიღება.

საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ორგანოები და სათანადოთ რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები.

იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთ სამუშაო არ დარჩებათ, საწინდარი დაუბრუნდებათ უკან შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე დაუყოვნებლივ; ხოლო იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთ სამუშაო გადაეცემათ შეჯიბრებით, საწინდარი დარჩება ზაჰესის სალაროში და გადიდებული იქნება სამუშაოს საერთო ღირებულებიდან 10 პროც-დე პირველ მისაღები თანხებიდან, რომელიც დაუბრუნდებათ უკან სამუშაოს სრულიად და პირნათლად შესრულების შემთხვევაში.

სახელმწიფო დაწესებულებათ და მუშათა არტელებს სამუშაოს სრული ღირებულებიდან 10 პროც. რაოდენობით საწინდარის შესაქმნელად პირველ მისაღებ თანხებიდან დაეკავებათ 15 პროც.

დაწვრილებით პირობების, ნახაზების, სამუშაოთა რაოდენობის და ტეხნიკური პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ოთახი № 14, ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე.—(ქ. თბილისი ლადო დუმბაძის ქ. № 3—ყოფილი ველიამინოვის ქ.).

იქვე იქნება გაცემული განცხადებისათვის დაწესებული თეთრი ნიმუში.

2—1 ნ. 26

სამუშაოთა უფროსი, ინჟენერი ზ. ჭიჭინაძე.

განცხადებანი

ბ. მუშიშვილი

[illegible] ომი

სახელმწიფო გამომცემლობა

იყიდება ყველგან

საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების („ზაკტპო“-ს) გამგეობა აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

რომლითაც გაიცემა სამუშაო წითელი სასადილოს № 2 შესაკეთებლად და მოსაწყობად სადგურის და ანდრეევის ქუჩების კუთხეში

საჯარო ვაჭრობა მოხდება 18 ოქტომბ., დღის 12 საათზე

განცხადებები მიიღება დახურულ კონვერტებით ყოველდღე დღის 12 საათ. გამგეობის ბინაზე (პლეხანოვის პრ. № 138) საწარმოო ნაწილში, სადაც შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება საჯარო ვაჭრობის პირობების შესახებ

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობა

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის მელიქოვის ქ, № 8) აცხადებს, რომ კვირას, 19 ამ ოქტომბ. დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასული გირაოებისა (გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებ… ლია ლომბარდის დარბაზში)

ნ. № 24—1—1

პროფესორი

ჟივოტოვსკი

აძლევს რუსულ და ქართულ

სტენოგრაფიის გაკვეთილებ…

მეცადინეობა როგორც ცალკე, ისე ჯგუფობრივ, ყოველ-დღე დილის 10-12 საათამდე და საღამოს 2—5-დე. პლეხანოვის პრ. 72 1—1 ქვ. № 241…

სიღნაღის რაიაღმასკომის მაჩის განყოფილებაში ს. კარდანახის მცხოვრებმა ელენე გიორგის ასულმა ქვრივმა ვაჩნაძისამ 11 ოქტომბერს 1924 წ… განაცხადა რომ, ის თავის გვარს—ვაჩნაძეს სცვლის მესტიაშვილზე.

№ 2407 1—1

სიღნაღის რაიაღმასკომის მაჩის განყოფილებაში ს. კარდანახის მცხოვრებლებმა თებრო ლუას ასულმა, სანდრო, ნიკო და მიშო ასლანისძე ვაჩნ… ძეებმა 11 ოქტომბერს 1924 წ. განაცხადეს, რომ ისინი თავიანთ გვ… ვაჩნაძე სცვლიან ლუკაშვილზედ

№ 2408 1—…

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და პლ… დაავადმყოფებულნი. სპეც. ც… წამლობა—შეხაპ. 914, ყოველ… განოების განათება, ფოტოგრაფ… ული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. სა… ბებუთოვის ქუჩა № 23.

1562 13—1

ექიმი

ა. დ. პეკელია

სიფილისი, ვენერიული და კა… ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. ს… ღამოს 5—8. პლეხანოვის პრო… პექტი № 116, სასტუმრო „ნოე“… პირდაპირ. № 2100 25—2…

ექიმი

ს. ა. გალუსტიანცი

შინაგანი, კანის და ვენერიული ავ… დმყოფობანი; ქრონიკული და მწვ… 0 0 0 ტრიპერი, სიფილისი 0 0 0

ავადმყოფების მიღება დილის 25… საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღ… ბა 2—4 საათ. ელისაბედის ქ., … მეორე სახლი კირკის კუჩის კუთხიდ…

25—15 ქ. № 220…

ექიმი

ე. ი. პალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგ… ავადმყოფობით შეპყრობილთ სა… მოს 5—7 საათამდე. ვენერიულ… სიფილისით ავადმყოფთ დილის 7… საითამდე. გუნიბის ქუჩა № 6, მ… კოვის ქუჩის დასაწყისში.

25—…

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 78… გაუქმებულად ჩაით… ლოს. ეკატერინე თევდორაშვილი.

1—1 2406

დაკარგე პირადობის მოწმობა … ცემული რაჭის მაზ… ბარის თემის აღმასკომისგან ვარლამ … ტას-ძე ლოთქაძის სახელზე. ჩაითვალოს … უქმებულათ.

1—1 2413

დაკარგე პირადობის მოწმობა გ… ცაკ ოგანეზის-ძე ვარ… ნოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულა…

1—1 2404

დაკარგე პირადი წიგნაკი № 14… გაცემული ახალქალაქ… რაისამხედრო მაგიდის გამგის მიერ ვარ… ხუციევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებ… ლა.

1—1 2405

დაკარგე დამზღვევი კასის წიგ… კი ჩაითვალოს გაუ… ბულათ. სახელმწიფო თეატრის მოკარ… პ. ცორდანია.

1—1 2410

დაკარგე დამზღვევ კასის წიგნ… ოლღა სანიკიძე - ვოლ… ბუევას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებუ…

1—1 240…

პროვინციის ცხოვრება

უპატრონოდ მიტოვებული დიდი საქმე

(მიწად-მოქმედების კომისარიატის საყურადღებოდ)

რამოდენიმე წლის წინად ქუთაისის აგრონომიულმა ტეხნიკუმმა ხარისთვალზე (რაჭა) დაარსა საფუტკრე, შეიძინა საფუტკრესთვის საჭირო შენობები, აგრეთვე მის ხელში გადავიდა რამოდენიმე ქცევა სახნავი და სათიბი მიწა. საფუტკრესთან ტეხნიკუმმა მოაწყო ხელოვნურ ფიჭის საკეთებელი სახელოსნო. განზრახული იყო იქვე გამართულიყო ზაფხულობით მსურველ გლეხთათვის უფასო მოკლევადიანი მეფუტკრეობის პრაქტიკული კურსები. ეს ამბავი დიდ სიხარულს იწვევდა ყველა ფუტკრის მყოლ რაჭველ გლეხთა გულში.

ბევრმა რაჭველმა გლეხმა უკუაგდო ძველი პრიმიტიული, ჯირკული მეფუტკრეობა და ხარისთვალის მაგალითით შემოიღო დასაშლელი ჩარჩოიანი სკები და დაადგა თავის საფუტკრის კულტურულად მოწყობის გზას.

ასე მიმდინარეობდა საქმე წარსული წლის ნოემბრამდე, მაგრამ ხსენებულ თვეში აგრო-ტეხნიკუმმა რალაც მიზეზის გამო შტატ გარეშე დასტოვა ხარისთვალის მეფუტკრე პ. დ—ლი. ზემდეგ სრულიად მოხსნეს ტეხნიკუმს საფუტკრე და გადასცეს ქუთაისის მიწა-ტყის პროფკავშირს. პროფკავშირმა საქმის განხილვის შემდეგ შეუძლებლად სცნო საფუტკრის მართვა ქუთაისიდან ხარისთვალზე და ამიტომ ვერ აილო იგი თავის ხელში. ამის შემდეგ იმედი იყო ტეხნიკუმის დირექტორი რაიმე ღონისძიებას მიიღებდა ამ საქმის მოსაგვარებლად და დასაბოლავებლად.

მაგრამ გადის აგერ წელიწადი თითქმის და არავითარი ყურადღება არ ექცევა საფუტკრეს. აღსანიშნავია, რომ საფუტკრის მუშებს ამ ხნის განმავლობაში არავითარი ჯილდო ჯამაგირი არ მიუღიათ. ეს გარემოება მეტად დამაფიქრებელი და საყურადღებოა.

ამჟამად ხარის თვალზე არის 40 ოჯახი ფუტკარი კვიბრი-დადანის სისტემის სკაში. არის შეძენილი სამისო შენობები, ინვენტარი და სხვა, რაც შეიცავს სახაზინო ქონებას და ამასთანავე წარმოადგენს მაზრაში მეფუტკრეობის განვითარებისთვის დიდ კულტურულ ღირებულების, როგორც საცდელი და სამაგალითო საფუტკრე.

ხსენებული საფუტკრე არის ხარისთვალზე, რომელიც მდებარეობს რაჭის შესავალ კარებთან და რაც დაშორებულია სოფლებს 8 ვერსით. იგი არის დიდი გზის პირას და გარშემო ახლავს დიდი გაუვალი ტყეები, რაც ქმნის მეფუტკრეობისთვის ხელსაყრელ პირობას. ამ ძვირფას ადგილს ამ განძის საფუტკრის უპატრონოდ მიტოვება ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ საჭიროა მას მიაქციოს ყურადღება მიწად-მოქმედების კომისარიატმა. მიზანშეწონილი და საქმისთვის სასარგებლო იქნება, რომ კომისარიატის განკარგულებით ეს საფუტკრე გადაეცემოდეს რაჭის მაზრის აღმასკომს თავის განკარგულებაში.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება სანამ გვიან არ არის.

გლეხი ა. გ—ძე.

ხიდის აღდგენა მდ. ხობზე

სოფ. მუხური (ზუგდიდის მაზრა)

მუხური მდებარეობს ზუგდიდის მაზრის იმ ადგილას, სადაც მდ. ხობი ბუნებრივ საზღვარს უდებს სენაკის და ზუგდიდის მაზრებს. ზემო სამეგრელოში სწორედ აქ გადის გზატკეცილი, რომელიც აერთებს ზუგდიდს ქუთაისთან. მეფის მთავრობამ ჯერ კიდევ 70 წლის წინად ხაზინის ხარჯზე გააკეთა ქვის ხიდი მდინარე ხობზე სოფ. მუხურთან.

ხიდი მაშინდელ დროისთვის საფუძვლიანი გაკეთდა, მაგრამ მეფის მოხელეებმა აშენების შემდეგ უყურადღებოდ დატოვეს იგი, დრომ თავისი ქნა და ამდენი ხნის განმავლობაში შეუკეთებლად დატოვებული იგი ერთ-ერთ წყალდიდობის დროს ჩაინგრა.

მეფის მთავრობის შემდეგ მის განახლებას შეუდგნენ მენშევიკები, მაგრამ, როგორც ყოველგან და ყოველთვის აქაც ვერაფერი გააკეთეს.

კომუნისტური ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე ხიდის განახლებას ისევ მიექცა ადგილობრივი ამხანაგების მთავარი ყურადღება.

ხალხის ენერგიული შრომით და მთავრობის მატერიალურ-ფინანსიურ დახმარებით, გაკეთებული იქნა ახალი ხიდი გაცილებით უკეთესი წინანდელზე. მაგრამ სპეციალისტების გამოანგარიშებით ხიდის საბოლოოდ დასამთავრებლად საჭიროა კიდევ არა ნაკლებ 1.500 მან.

გლეხობას იმედი აქვს, რომ მთავრობა დაეხმარება მას ხიდის დამთავრებაში.

გლეხი ი. ც—ვა.

ტყის გაჩეხვის შედეგები

სოფ. ზანავი (ბორჯომის რაიონი)

ბორჯომის რაიონში ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოვიდა დიდი წვიმა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ამ სოფელს, გაუფუჭა გზები, საყანე მიწები და ბოსტნები. ბევრი მეცადინეობით შენობები გადარჩენილი იქნა, მეზობელი გლეხებიც ძლიერ დაზარალდენ.

ეს უბედურება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ამ სოფელს ახლავს დასავლეთით ტყე, რომელიც ადგილობრივმა გლეხებმა გაჩეხა და ამ გატიტვლებული მაღლობიდან წამოვიდა ნიაღვარი, რამაც დიდი უბედურება მიაყენა გლეხებს. ასეთივე უბედურება მოსალოდნელია თოვლისაგანაც გაზაფხულზე. ტყე დღესაც სისტემატიურათ იჩეხება. მომავალში უბედურების ასაცდენად, გლეხები თხოულობენ დაუყოვნებლივ იქნას აკრძალული ტყის განადგურება.

პ. რაზმაძე.

სოფ. ქედისუბნის სკოლას დახმარება ესაჭიროება

(რაჭის აღმასკომის საყურადღებოდ)

ამ სოფელში 180 კომლი სცხოვრობს. ეკონომიურათ და კულტურულათ ამ სოფლის გლეხები ძლიერ ჩამორჩენილნი არიან. აქაურ გლეხებს არ აქვთ სამყოფი მიწა; რაც არის, ისიც უვარგისია და გლეხები ზამთრობით და სხვა დროსაც სხვა კუთხეებში არიან გადახვეწილი. ამ სოფელში არის შრომის სკოლა, რომელიც ამჟამათ დიდ უნუგეშო მდგომარეობაშია, შენობა შეკეთებას საჭიროებს. ამ სოფლის გლეხობამ უარჰყო მატყუარა მღვდლების წირვა-ლოცვა, ორი ეკლესია დახურა, გლეხობას განზრახვა აქვს ეკლესიები ხის მინაშენი, ე. წ. „საქალებოები“, მოხსნას და მასალა მოახმაროს სკოლის შენობას. გლეხებს ძლიერ სურთ მისცენ თავიანთ შვილებს პირველდაწყებითი ცოდნა, რომ მათ მაინც გაიკვიონ ცხოვრების გზა.

ამ უკანასკნელ ხანებში გავრცელდა ხმა, რომ სკოლას აუქმებენ და სხვაგან გადააქვთ.

რაჭის აღმასკომო! ადგილობრივ ქედის უბნის გლეხობასთან გამოარკვიე ამ სკოლის საკითხი, მოუწყვე და დაეხმარე ამ სკოლის საქმეში ახლათ თვალებ ახელილ რევოლიუციონურ გზაზე დამდგარ ქედისუბნის გლეხობას.

გლეხი ა. გ—ძე.

მიწა—პირველ რიგში ულარიბეს გლეხობას ეძლევა

სოფ. დილიკაური (ზესტაფონის რაიონი)

არც ერთ სოფელში არ იყო ასე არეულ-დარეული მიწის საკითხი, როგორც სოფ. დილიკაურში. ყველა ჩვენს მიერ არჩეული მიწის კომისიაში ცდილობდა ზედმეტი და კარგი ხარისხის მიწები თავიანთვის მიეზომა და უმიწაწყლო ხალხზე ცოტას ზრუნავდენ. იყო მაგალითები, რომ მიწკომებმა თვითონ კანონიერი ნორმა შეივსეს და გლეხი, რომელსაც ჰქონდა სულზე 90—100 კვადრ. საჟ. დატოვეს.

ხალხი უკმაყოფილო იყო, მაგრამ დრომდის სდუმდა, დაიმედებული, რომ მთავრობა მიაქცევს ყურადღებას მიწკომების უკანონო მოქმედებას.

მართლაც ა | წ. 9 აგვისტოს ზესტაფონის რაიაღმასკომა გამოგზავნა ჩვენს თემში მიწის მზომელი ამხ. ნიოფიტე ღლონტი. მიწკომი აღელდა,—იცოდა რომ უკანონო მოქმედება იოლად არ ჩაუვლიდა.

მიწის მზომელმა მოახდინა თემის ყრილობა, რომელზედაც ამხ. ღლონტმა მუხლობრივად აუხსნა კრებას მიწის კოდექსი და მიწათ-მოწყობის ინსტრუქცია. ხალხმა დიდი უკმაყოფილობა გამოსთქვა ძველი მიწკომის მიმართ. მათი ბოროტმოქმედება დადასტურდა, მათ ჩამოერთვა ზედმეტი მიწა და გადაეცა უმიწაწყლო გლეხობას. ამხ. ღლონტი მუშაობს დღესაც ჩვენ თემში; მან ჩამოართვა 115 ქცევა მიწა და ანაწილებს კიდეც კუთვნილებისამებრ. ხალხი კმაყოფილია და ამბობს: და მადლობის ღირსია ქ. ზესტაფონის რაიაღმასკომი ასეთი მიწის მზომელის გამოგზავნისათვის.

ა. ხ.

პროვინციის ქრონიკა

— **სამალიარიო სადგური.** სამტრედიაში სამალიარიო სადგურის ასაგებათ ქუთაისის აღმასკომმა გადასდო 500 მან.

— **სავლეხო სესხი.** მეჯვრისხევის რაიონში (ქართლი) გლეხებმა შეიძინეს 430 მ. სავლეხო სესხის ობლიგაციები.

— **საჭიროა მასწავლებლები.** ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა განათ. კომისარიატის წინაშე, რათა ქუთაისის მაზრაში კიდევ დაინიშნოს 190 მასწავლებელი.

— **სამეურნეო სასწავლებელი ორპირში.** სოფ. ორპირში სამეურნეო სასწავლებლის შენობის ადგილ-მდებარეობის გამოსანახათ და გეგმის შესადგენათ ქუთ. აღმასკომმა დაარსა ცალკე კომისია.

ტირაჟი 18.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.